სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

ლიკა კოკაია

რუსეთ-ჩინეთის კონკურენცია არქტიკაში: გეოპოლიტიკური დაპირისპირება ბუნებრივი რესურსებისთვის (2013-2024)

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი,

2025

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულებში არქტიკის რეგიონი, რომელიც მდიდარია ნავთობით, ბუნებრივი გაზითა და იშვიათი მინერალებით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ყინულის დნობით გლობალური გეოპოლიტიკური კონკურენციის ცენტრად იქცა. წინამდებარე ნაშრომი ფოკუსირებულია რუსეთის მცდელობებზე, შეინარჩუნოს დომინანტური პოზიცია არქტიკაში ჩინეთის მზარდი გავლენის ფონზე, რაც ორ სახელმწიფოს შორის ფარულ კონკურენციას წარმოშობს, მიუხედავად მათი სტრატეგიული პარტნიორობისა.

კვლევის მიზანია, გაანალიზდეს რუსეთის ქმედებები ჩინეთის გავლენის შესაზღუდად, განსაკუთრებით რეგიონის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის კუთხით, 2013-2024 წლებში. ჰიპოთეზის თანახმად, 2013 წლიდან ჩინეთის მზარდმა გავლენამ არქტიკაში გააძლიერა რუსეთის აღქმა ჩინეთის, როგორც პოტენციური საფრთხის. შედეგად, რუსეთი ცდილობს შეზღუდოს ჩინეთის წვდომა რეგიონის ბუნებრივ რესურსებზე, რათა დაიცვას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონში დომინირება.

საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის ნაშრომში გამოყენებულია ნეორეალიზმის თეორიული ჩარჩო, კერძოდ თავდასხმითი რეალიზმი, რომელიც უკეთ ხსნის რუსეთის აგრესიულ სტრატეგიას არქტიკაში. ამასთან, კვლევა ეფუძნება კონტენტ-ანალიზსა და შემთხვევის ანალიზს.

კვლევის შედეგად, არსებულ ლიტერატურაზე, ოფიციალურ დოკუმენტებსა და პოლიტიკური პირების განცხადებებზე დაყრდნობით დადასტურდა, რომ რუსეთი ცდილობს შეზღუდოს ჩინეთის გავლენა არქტიკაში ენერგორესურსებზე მკაცრი კონტროლის შენარჩუნებით, ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტის სუვერენული მართვითა და ჩინური ინვესტიციების გაძლიერებული ზედამხედველობით.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, ჩინეთი, არქტიკა, კონკურენცია, ბუნებრივი რესურსები, ჰეგემონია.

Abstract

In recent decades, the Arctic region—rich in oil, natural gas, and rare minerals—has become a center of global geopolitical competition due to ice melting caused by climate change. This thesis focuses on Russia's efforts to maintain its dominant position in the Arctic amid China's growing influence, which has led to covert rivalry between the two states despite their declared strategic partnership.

The aim of the research is to analyze Russia's actions to limit China's growing influence in the region, particularly regarding control over natural resources, during the period from 2013 to 2024. According to the hypothesis, China's increasing presence in the Arctic since 2013 has intensified Russia's perception of China as a potential threat, prompting Russia to restrict China's access to Arctic resources in order to protect its geopolitical interests and maintain regional dominance.

For an in-depth analysis, the study employs a neorealist theoretical framework, specifically offensive realism, which better explains Russia's assertive strategy in the Arctic. The research is based on content analysis and case study methodology. The findings—based on existing literature, official documents, and public statements—confirm that Russia seeks to curb China's influence by maintaining strict control over energy resources, exercising sovereign management of the Northern Sea Route, and enhancing oversight of Chinese investments.

Keywords: Russia, China, Arctic, Competition, Natural Resources, Hegemony.

სარჩევი

შესავალი 1

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 8

ლიტერატურის მიმოხილვა 10

თეორიული ჩარჩო 14

საკვანძო ტერმინების განმარტება 17

თავი 1. არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა რუსეთისა და ჩინეთისთვის 18

1.1 რუსეთის სწრაფვა არქტიკის რეგიონის ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ სტრატეგიულ კონტროლზე 18

1.2 ჩინეთის არქტიკული ინტერესები და 25

"პოლარული აბრეშუმის გზა" 25

თავი 2. რუსეთის გეოპოლიტიკური ქმედებები და პოლიტიკა, ჩინეთის მზარდი გავლენის შესაზღუდად არქტიკაში (2013-2024) 30

2.1 ჩინეთის სტატუსის ცვლილება არქტიკულ საბჭოში და რუსეთის საპასუხო რეაქციები 30

2.2 სამხედრო აქტივობები და ინფრასტრუქტურის განვითარება არქტიკაში 33

2.3 თანამშრომლობა და კონტროლი ენერგოპროექტებში 36

თავი 3. რუსეთის პოლიტიკა და ქმედებები ჩინეთის გავლენის შეზღუდვისკენ (2022-2024) 38

3.1 უკრაინის ომის გავლენა და დასავლეთის სანქციები 38

3.2 2024 წლის რუსეთის სტრატეგია და პოლიტიკური გამოწვევები არქტიკაში 40

3.3 სამხედრო თანამშრომლობა და დაძაბულობა (2024) 44

საკითხის თეორიულ ჭრილში განხილვა 46

ძირითადი მიგნებები 48

დასკვნა 49

გამოყენებული ლიტერატურა 51

დანართები 59

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის რუსეთ-ჩინეთის კონკურენციას არქტიკაში ბუნებრივი რესურსების მოპოვების საკითხში, ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და იშვიათი მინერალების კონტროლისთვის, 2013-2024 წლებში, რუსეთის პოზიციიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სახელმწიფო არქტიკის რეგიონთან დაკავშირებულ საკითხებში ხშირად თანამშრომლობს, როგორიცაა ენერგოპროექტები ან ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტის განვითარება, რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს ჰეგემონობა და შეზღუდოს ჩინეთის მზარდი გავლენა.

კვლევის ფარგლებში გამოყოფილია 2013-2024 წლების პერიოდი, რადგან ამ დროს შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებში არქტიკაში. კერძოდ, 2013 წელს ჩინეთს მიენიჭა არქტიკული საბჭოს დამკვირვებლის სტატუსი და ოფიციალურად დაერქვა "Near-Arctic State", რითაც ჩამოაყალიბა საკუთარი გეოპოლიტიკური ამოცანები, რაც რუსეთის მიერ აღქმულ იქნა, როგორც საფრთხე მისი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის (Merkle, 2023), რადგან მოსკოვი არქტიკას განიხილავს თავისი ეროვნული იდენტობისა და გეოპოლიტიკური ძალაუფლების განუყოფელ ნაწილად (Laruelle, 2020).

ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის ჩინეთთან თანამშრომლობამ მიაღწია უპრეცედენტო დონეს. ორივე სახელმწიფო აცხადებს, რომ მათ აქვთ „ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობა“, თუმცა, დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაშიც კი, მოსკოვისა და პეკინის მიდგომებს შორის განსხვავებები არქტიკის მიმართ საკმაოდ დიდია, რაც ზღუდავს ჩინეთის წინსვლას შორეულ ჩრდილოეთში (Dagaev, 2025).

არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური და ენერგეტიკული მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. ყინულის დნობამ წარმოქმნა ახალი იურიდიული გამოწვევები არქტიკული ზღვების კონტროლში (Byers, 2014). რეგიონში მსოფლიოს აღმოუჩენელი ნავთობის მარაგების 13% და ბუნებრივი გაზის 30%-მდეა კონცენტრირებული, რაც ამ რეგიონს გლობალური ენერგოუსაფრთხოების ცენტრად აქცევს. 2022 წლის უკრაინის ომის შემდეგ ენერგეტიკულ ბაზრებზე

მოულოდნელი რყევების ფონზე არქტიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რეგიონი გახდა, როგორც ენერგოუსაფრთხოების ალტერნატიული წყარო. გარდა ამისა, უკრაინაში ომის შემდეგ დასავლეთის სანქციებმა რუსეთს ხელი შეუშალა დასავლეთთან ეთანამშრომლა, რამაც დააჩქარა მისი ორიენტაციის აღება ჩინეთისკენ. ყინულის დნობით შექმნილმა ახალმა სანავიგაციო მარშრუტებმა რუსეთის ეკონომიკური ორიენტაციის ცვლილება გამოიწვია. სწორედ ამ სივრცეში იკვეთება რუსეთისა და ჩინეთის ინტერესთა კონფლიქტი.

ჩინეთის ჩართულობა არქტიკაში 1990-იანი წლებიდან სტაბილურად ვითარდება და თავდაპირველად სამეცნიერო აქტივობებით შემოიფარგლებოდა. პეკინის კონკრეტული არქტიკული ინტერესების შესახებ საუბარია არსებულ ფორმალურ დოკუმენტებში, როგორიცაა 2018 წლის არქტიკული სტრატეგია- „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, რომელიც ფორმალურად აყალიბებს ჩინეთის ამბიციებს მონაწილეობა მიიღოს არქტიკულ მმართველობაში და განავითაროს არქტიკის რესურსები. ჩინეთი თავის არქტიკულ სტრატეგიაში ხაზს უსვამს „მშვიდობიან განვითარებას“, მაგრამ ამბობს იმასაც, რომ რუსეთი ამაში ეჭვს შეიტანს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს არქტიკაში ტერიტორია არ აქვს, მან მიზნად დაისახა არქტიკულ რესურსებსა და სატრანსპორტო მარშრუტებზე წვდომის მოპოვება. ჩინეთმა არქტიკა თავისი „სარტყელი და გზის“ ინიციატივის ნაწილად განსაზღვრა და „პოლარული აბრეშუმის გზის“ შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

რუსეთს სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები აქვს რეგიონში, რომელიც მდიდარია მისთვის მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებით. USGS-ის 2008 წლის შეფასებით დადგენილია, რომ არქტიკაში მსოფლიოს აღმოუჩენელი რეზერვების დაახლოებით 22%-ია, ხოლო ამჟამად იქ მსოფლიო ნავთობის 10% და გაზის 25% იწარმოება. ამ რესურსების დიდი ნაწილი რუსეთის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში (EEZ) მდებარეობს, რაც რეგიონს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის მისი ეკონომიკური განვითარებისთვის.

2013 წლის არქტიკულ პოლიტიკაში რუსეთმა ცალსახად განაცხადა, რომ რეგიონის მინერალური და ნახშირწყალბადური სიმდიდრე უმნიშვნელოვანესი იყო. 2020 წლის არქტიკულმა სტრატეგიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი ამბიცია, რომელიც ფოკუსირებული იყო რეგიონის რესურსების ბაზის გაფართოებაზე, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასა და ინვესტიციების უზრუნველყოფაზე, მზარდი გეოპოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად. ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტმა (NSR), რომელიც გადამწყვეტია მოპოვებული რესურსების ტრანსპორტირებისთვის, ასევე დიდი ყურადღება მიიპყრო, რადგან ყინულის დნობა ექსპორტისთვის ახალ საზღვაო გზებს ხსნის (Tingstad, Pezard, & Shokh, 2024).

რუსეთის მთავრობამ წამოიწყო პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო ჩინეთის შეჩერება არქტიკის რეგიონში. ის არ ემხრობოდა ჩინეთის არქტიკულ საბჭოში მონაწილეობას და წამოუყენა პირობები. ასევე 2014 წელს აქტიურად დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკებები და ეკონომიკური ურთიერთობები იმ ქვეყნებთან, რომლებსაც არ ჰქონდათ მყარი კავშირები ჩინეთთან. რუსეთი თავს არიდებდა იმ პროცესებს, სადაც ჩინეთი სრული უფლებით იყო წარდგენილი, რათა შეენარჩუნებინა თავისი გავლენა რეგიონში. გარდა ამისა, რუსეთის სამხედრო წვრთნები და ახალი ბაზების მშენებლობა რეგიონში მიმართული იყო ჩინეთის „თავისუფალი“ საქმიანობის შესაზღუდად. მოსკოვმა გააძლიერა პეკინთან თანამშრომლობა ისეთ პროექტებში, როგორიცაა Arctic LNG-2, რათა გაეკონტროლებინა პროექტები საკუთარი ეროვნული ინტერესების მიხედვით.

2023 წელს რუსეთმა ორიენტაცია აიღო არქტიკის ბუნებრივ რესურსებზე, რადგან დასავლეთის ეკონომიკური სანქციები მკაცრი აღმოჩნდა, რამაც დასავლური კომპანიების არქტიკიდან გასვლა გამოიწვია. მოცემული სიტუაციით ისარგებლეს ჩინურმა კომპანიებმა და დაიწყეს საინვესტიციო პროექტების ზრდა რეგიონში. რაც შეეხება 2024 წელს, რუსეთის სტრატეგიამ უფრო პოლიტიკური სახე მიიღო და მოსკოვი პეკინს აღიქვამდა როგორც გეოპოლიტიკურ გამოწვევად. შესაბამისად, მან დაიწყო იმ პროექტების გადახედვა, სადაც ჩინეთი აქტიურად

იყო ჩართული და გადაწყვიტა შემოეღო ისეთი რეგულაციები, რომლებიც მიზნად ისახავდა ჩინეთის ეკონომიკური ჩართულობის შეზღუდვას არქტიკის რეგიონში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთმა და ჩინეთმა 2024 წელს ჩაატარეს ერთობლივი სამხედრო წვრთნები არქტიკაში, რაც მიუთითებს მათ შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებაზე. თუმცა, ეს ფაქტი ასევე აჩენს კითხვებს რუსეთის მხრიდან ჩინეთის სამხედრო ყოფნის შეზღუდვის შესახებ, რათა შეინარჩუნოს რეგიონში საკუთარი პოზიციები და გავლენა.

მიუხედავად ფორმალური სტრატეგიული პარტნიორობისა, მოსკოვი აღიქვამს პეკინის აქტიურობას არა როგორც თანამშრომლობის შესაძლებლობას, არამედ როგორც გრძელვადიან გეოპოლიტიკურ გამოწვევას. ჩინეთის ეკონომიკური შესაძლებლობები, ტექნოლოგიური ინტეგრაცია და გლობალური გავლენის ზრდა არქტიკაში შეიძლება გახდეს რუსეთის დომინანტური პოზიციის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების ფაქტორი. სწორედ ამიტომ, რუსეთი მიმართავს პრევენციულ პოლიტიკას — ცალსახად ცდილობს ჩინეთის აქტივობების კონტროლს, ზღუდავს მის წვდომას სტრატეგიულ პროექტებზე და აძლიერებს სამხედრო და დიპლომატიურ მოქმედებებს რეგიონში.

ამგვარად, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური ანალიზის განვითარებას. არსებული ნაშრომების უმეტესობა ფოკუსირებულია არქტიკაში კლიმატურ ცვლილებებზე, საერთაშორისო თანამშრომლობასა და არქტიკული საბჭოს მრავალმხრივ ფორმატზე, მაგრამ შედარებით იშვიათია რუსეთ-ჩინეთის ბუნებრივ-რესურსებზე კონკურენციის ანალიზი რუსეთის პერსპექტივიდან. ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში სტრატეგიული პარტნიორობა არ გამორიცხავს კონკურენციას, რაც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების რთული ბუნების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

არსებული მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ პეკინი და მოსკოვი ერთიანდებიან, რათა დააბალანსონ დასავლური გავლენა, ხშირად ფარავს რეალურ კონკურენციას

ეკონომიკური ინტერესების, რესურსებზე წვდომისა და გეოსტრატეგიული მიმართულების თვალსაზრისით. ნაშრომში ეს დაძაბულობა წარმოდგენილია არა როგორც დროებით უსიამოვნებად, არამედ როგორც სისტემურ რეალობად, რომელიც წარმოიქმნება საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალისტური პრინციპების შესაბამისად - ძალთა ბალანსისა და საკუთარი გავლენის მაქსიმიზაციისაკენ. შედეგად, კვლევა არა მხოლოდ თემატურ სიცარიელეს ავსებს, არამედ აჩვენებს, რომ სტრატეგიული პარტნიორობა და გეოპოლიტიკური კონკურენცია ერთმანეთისგან ურთიერთგამომრიცხავი არაა.

ამგვარად, **ნაშრომის საკვლევი კითხვა** ფორმულირებულია შემდეგნაირად: რატომ ცდილობს რუსეთი შეზღუდოს ჩინეთის მზარდი გავლენა არქტიკაში ბუნებრივი რესურსების კონტროლის მიზნით (2013-2024)? მოცემული კითხვა მიზნად ისახავს, რუსეთის ქმედებების ანალიზს მისი პერსპექტივიდან, რათა გაიგოს, თუ როგორ აღიქვამს რუსეთი ჩინეთის მზარდ გავლენას რეგიონში და როგორ აისახება ეს აღქმა მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრატეგიებზე რეგიონში.

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, 2013 წლიდან ჩინეთის მზარდმა გლობალურმა გავლენამ არქტიკაში გააძლიერა რუსეთის აღქმა ჩინეთის, როგორც საფრთხის, რის შედეგადაც რუსეთი ცდილობს შეზღუდოს ჩინეთის წვდომა რეგიონის ბუნებრივ რესურსებზე, რათა დაიცვას რეგიონში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები.

აღნიშნული ჰიპოთეზა ეფუძნება არქტიკის რეგიონის მზარდ სტრატეგიულ მნიშვნელობასა და იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი რესურსების, გეოსტრატეგიული მდებარეობისა და ახალი საზღვაო მარშრუტების გაჩენის ფონზე, არქტიკა გადაიქცა გლობალური ძალების კონკურენციის ასპარეზად. რუსეთისთვის არქტიკა წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესების სფეროს, არამედ ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტს. შესაბამისად, ჩინეთის გავლენის ზრდა არქტიკაში აღიქმება, როგორც პოტენციური გამოწვევა რუსეთის ისტორიული დომინირებისთვის რეგიონში. ყოველივე ამის ფონზე, მოსალოდნელია, რომ რუსეთი გამოიყენებს როგორც დიპლომატიურ, ისე

სტრატეგიულ მექანიზმებს იმისთვის, რათა შეამციროს ჩინეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებზე დამოკიდებულება და გაიმყაროს საკუთარი პოზიციები.

საკვლევი კითხვისა და ჰიპოთეზის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოიყო ცვლადები. **დამოუკიდებელი ცვლადია** რუსეთის სწრაფვა არქტიკის ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ სტრატეგიულ კონტროლზე. ეს გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ბერკეტების გამოყენებას არქტიკის რეგიონში დომინანტური როლის შენარჩუნებისთვის. მოსკოვის მიზანია უზრუნველყოს გრძელვადიანი წვდომა ენერგორესურსებზე, რაც აისახება მის გლობალურ სტატუსზე.

ხოლო **დამოკიდებულ ცვლადად** განისაზღვრა რუსეთის გეოპოლიტიკური ქმედებები და პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ჩინეთის მზარდი გავლენის შეკავებისკენ არქტიკაში. ეს ქმედებები მოიცავს პროექტების შეზღუდვას, სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფართოებას და ეროვნული სტრატეგიის წინ წამოწევას.

აქედან გამომდინარე, ცვლადებს შორის კავშირი გამოიხატება იმაში, რომ რუსეთის ამბიციები რეგიონის კონტროლზე წარმოადგენს გამომწვევ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს რუსეთის პოლიტიკის განსაზღვრას ჩინეთის მიმართ. როდესაც მოსკოვი რესურსებს სტრატეგიულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ის საფრთხედ აღიქვამს ჩინეთის გაზრდილ ჩართულობას და აქტიურობას თავისი ინტერესებისთვის. ამგვარად, რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები პოლიტიკაში, სამხედრო სფეროში და ინვესტიციებში პირდაპირ კავშირშია მის სურვილთან, რომ შეინარჩუნოს ჰეგემონია არქტიკაში და არ დაუშვას ჩინეთის გაძლიერება რეგიონში.

დამოუკიდებელი ცვლადის გაზომვა მოიცავს რუსეთის მიერ განხორციელებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მიმართულია ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერებისკენ. კონკრეტულად, საუბარია რუსეთის ინიციატივებზე, როგორიცაა ახალი

ენერგეტიკული პროექტები, სამხედრო ბაზების განლაგება, ასევე მისი ეკონომიკური და ენერგეტიკული პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების (განსაკუთრებით ჩინეთის) ექსპანსიას არქტიკაში.

ხოლო დამოკიდებული ცვლადის გაზომვა მოიცავს რუსეთის დიპლომატიურ, სამხედრო და ეკონომიკურ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ჩინეთის აქტივობების შეზღუდვას რეგიონში. ეს გულისხმობს რუსეთის პოლიტიკურ ინიციატივებს, საერთაშორისო შეთანხმებებს და ეკონომიკურ სანქციებს, რომლებიც მიმართულია ჩინეთის ენერგეტიკული პროექტების შეჩერებისკენ ან შეზღუდვისკენ.

წინამდებარე **ნაშრომის სტრუქტურა** შედგება რამდენიმე თავისგან, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთ-ჩინეთის კონკურენციის სიღრმისეულ ანალიზს არქტიკაში 2013-2024 წლების პერიოდში.

მომდევნო თავებში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომები, მონაცემთა შეგროვების ხერხები, ანალიზის ტექნიკები და კვლევის ეთიკური მხარე. განსაზღვრულია ემპირიული მასალის დამუშავების კონკრეტული ხერხები. გარდა ამისა, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში შესწავლილია არსებული სამეცნიერო ნაშრომები არქტიკული გეოპოლიტიკის, რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების და რეგიონული უსაფრთხოების თემებზე. ამავე თავში განსაზღვრულია ნაშრომის მნიშვნელობა მოცემულ სამეცნიერო დისკურსში. კვლევის თეორიული საფუძველი ემყარება ნეორეალიზმის, კერძოდ თავდასხმითი რეალიზმის პრინციპებს. მოცემულ ნაწილში გამოკვეთილია სახელმწიფოთა ქცევის მოტივაცია ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში და ძალთა ბალანსის მნიშვნელობა. თეორიული ჩარჩოს შემდეგ მოცემულია საკვანძო ტერმინების განმარტება, რაც უზრუნველყოფს ნაშრომში გამოყენებული ძირითადი ცნებების ზუსტ მნიშვნელობას.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი იწყება არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის შესწავლით ორივე სახელმწიფოსთვის, სადაც გამოკვეთილია რუსეთის ისტორიული პრეტენზიები რეგიონზე. შემდგომ კი

განიხილება რუსეთის გეოპოლიტიკური ქმედებები და რეაქცია ჩინეთის მზარდ გავლენაზე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2022-2024 წლების პერიოდს, როდესაც დასავლურმა სანქციებმა მნიშვნელოვნად შეცვალა რუსეთის სტრატეგიული პრიორიტეტები. მოცემულ თავში გაანალიზებულია რუსეთის მერყევი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ - ტრანსფორმაცია პრაგმატული პარტნიორობიდან სტრატეგიული კონკურენციისკენ. ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების დინამიკას, სადაც კომპლექსურად შეფასებულია ორმხრივი ურთიერთობების ევოლუცია კონკრეტული მონაცემების, ოფიციალური განცხადებების და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე.

ნაშრომის დასასრულისკენ წარმოდგენილია თეორიული ჩარჩოსა და ემპირიული მონაცემების სინთეზი, სადაც თავდასხმითი რეალიზმის პრიზმით ანალიზდება რუსეთისა და ჩინეთის ქცევის მოტივები არქტიკის რეგიონში. კვლევა სრულდება ძირითადი მიგნებებისა და საბოლოო დასკვნის წარმოდგენით, რაც მოიცავს კვლევის შედეგების გაერთიანებას და საკვლევ კითხვებზე პასუხების ფორმულირებას. ბოლო ნაწილში განხილულია კვლევის შეზღუდვები, ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები შემდგომი კვლევისთვის და წარმოდგენილია პროგნოზი რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების მომავალი განვითარების მიმართულებებზე არქტიკის რეგიონში.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კონტენტ-ანალიზი და სამაგიდო (დოკუმენტური) კვლევები. ეს მეთოდები შეირჩა არამხოლოდ ფაქტობრივი მტკიცებულებების შეგროვებისთვის, არამედ სახელმწიფოების ნარატივებისა და დისკურსული სტრატეგიების ანალიზისთვის, რაც მნიშვნელოვანია შერჩეული შემთხვევის შესწავლისთვის, რადგან საქმე ეხება გეოპოლიტიკურ ქცევას, რაც ქმედებებითა და განცხადებებითაც განისაზღვრება.

კონტენტ-ანალიზი გულისხმობს ტექსტის დეტალურ და სისტემატურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ახდენს კონკრეტული შინაარსის, თემების თუ ტენდენციების გამოსავლენად (წულაძე, 2020). მის ფარგლებში განხილული იქნება რუსეთისა და ჩინეთის ოფიციალური სტრატეგიული დოკუმენტები, მაღალი დონის ლიდერების საჯარო გამოსვლები, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სახელმწიფოთა პოზიციები და რუსეთის სტრატეგიული ტენდენციები. დოკუმენტების ანალიზი გულისხმობს, როგორც პირველწყაროების (მათ შორის სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტები, ოფიციალური გამოსვლები), ასევე მეორადი წყაროების (აკადემიური სტატიები, კვლევითი ცენტრების პუბლიკაციები, ანალიტიკური ანგარიშები და მედია ანალიზი) გამოყენებას.

კვლევის დიზაინად შეირჩა შემთხვევის შესწავლა (Case Study). მისი დახმარებით მოხდება ერთი ან რამდენიმე აქტორის სიღრმისეული ანალიზი, ამ შემთხვევაში რუსეთის. რუსეთისა და ჩინეთის ქმედებების კვლევა არქტიკაში მოითხოვს კომპლექსურ და ისტორიულ კონტექსტზე დაფუძნებულ ანალიზს, რომლის საშუალებასაც ეს დიზაინი იძლევა. გარდა ამისა, Case Study-ს ფარგლებში დეტალურად განიხილება რუსეთისა და ჩინეთის ქმედებები არქტიკის რეგიონში 2013–2024 წლებში. მეთოდის მეშვეობით დეტალურად და სიღრმისეულად გაანალიზდება რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობები, გარემო ფაქტორები და რეგიონული კონკურენცია არქტიკის რეგიონში. განსხვავებით ტრადიციული ერთპიროვნული შემთხვევის ანალიზისგან, მოცემული დიზაინის მეშვეობით, გამოკვლეული იქნება ორ დიდ სახელმწიფო აქტორს შორის სტრატეგიული პარტნიორობა რეგიონულ კონტექსტში.

დროითი ასპექტი შეირჩა 2013 წლიდან 2024 წლამდე. ვინაიდან, 2013 წელს ჩინეთს მიენიჭა არქტიკული საბჭოს დამკვირვებლის სტატუსი და ოფიციალურად ეწოდა „Near-Arctic State“. ეს იყო გარდამტეხი მომენტი, რამაც ჩინეთს მისცა შესაძლებლობა, ჩამოეყალიბებინა საკუთარი გეოპოლიტიკური ამოცანები რეგიონში. რუსეთისთვის, რომელიც არქტიკას თავისი ეროვნული იდენტობისა

და გეოპოლიტიკური ძალაუფლების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, ჩინეთის ეს მზარდი როლი საფრთხედ იქნა აღქმული.

პერიოდის დასასრული -2024 წელი -საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს უახლესი მოვლენები, მათ შორის უკრაინის ომის გავლენა, დასავლეთის სანქციები და მათ ფონზე მოხდეს რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების ევოლუციის კვლევა არქტიკაში, რაც განსაკუთრებით ამწვავებს მათ შორის კონკურენციას. 2024 წელი წარმოადგენს გადამწყვეტ წერტილს, სადაც მოსკოვ-პეკინის ურთიერთობები არქტიკაში საბოლოოდ ყალიბდება „კონტროლირებადი კონკურენციის“ მოდელად, რაც აუცილებელია მიმდინარე გეოპოლიტიკური ვითარების ანალიზისთვის.

ამრიგად, შერჩეული დროითი მონაკვეთი მოიცავს იმ ძირითად ეტაპებს, რომლებმაც განაპირობა რუსეთსა და ჩინეთს შორის არქტიკული კონკურენციის გაღრმავება და ამ ორი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესების დაპირისპირება ბუნებრივი რესურსებისთვის ბრძოლაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არქტიკის რეგიონი კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა და სახელმწიფოთა ყურადღებაც მიიპყრო. კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა ყინულის დნობამ გამოწვევებთან ერთად შესაძლებლობებიც მოიტანა, მათ შორის გამოჩნდა ახალი საზღვაო მარშრუტები და გაიზარდა წვდომა ბუნებრივ რესურსებზე. სწორედ ამ ვითარებაში, რუსეთის ფედერაცია, რომელიც არქტიკის ტერიტორიის დიდ ნაწილს ფლობს, ცდილობს გაამყაროს თავისი როლი როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. ამას თან ერთვის დასავლური სანქციები, რომლის ფონზეც მოსკოვის საგარეო პოლიტიკური ვექტორი აღმოსავლეთისკენ, კერძოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისკენ გადაიხარა და ცდილობს იპოვოს თანამშრომლობის გზები. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პარტნიორობისა, აშკარად არსებობს

ინტერესთა კონფლიქტი და ფარული კონკურენცია ორ სახელმწიფოს შორის, განსაკუთრებით არქტიკის რეგიონში. რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს სუვერენიტეტი და დომინანტური პოზიცია, რის გამოც მაქსიმალურად ეძებს ნებისმიერ გზას, რათა გაიფართოვოს გავლენის სფერო.

რუსეთს ადრიდანვე ჰქონდა არქტიკაში გრძელვადიანი ინტერესები და სტრატეგიები, მანამ, სანამ ჩინეთი რეგიონით სერიოზულად დაინტერესდებოდა და მის ჩართულობას გააძლიერებდა. მარლენ ლარუელი წიგნში „რუსეთის არქტიკული პოლიტიკა - ძალაუფლების სტრატეგია და მისი საზღვრები“ აანალიზებს რუსეთის ადრეულ არქტიკულ სტრატეგიებს და ხაზს უსვამს მოსკოვის მიდგომებს ენერგეტიკულ პოლიტიკასა და რეგიონში არსებული შიდა გამოწვევების მიმართ (Laruelle, 2020). თუმცა, ახალ კვლევებში გამოჩნდა, რომ 2014 წლის სანქციების შემდეგ რუსეთმა არქტიკული პოლიტიკა უფრო უსაფრთხოების მხრივ მიმართა (Sergunin & Konyshev, 2019). მოცემული ნაშრომები გვეხმარება გავიგოთ რა მოტივები ამოძრავებს რუსეთს არქტიკაში ჩინეთის მზარდი როლის კვალდაკვალ.

რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების დინამიკაზე და მათ თანამშრომლობაზე ეკონომიკურ, სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში საუბარია ალექსანდრ ლუკინის წიგნში „ჩინეთი და რუსეთი: ახალი დაახლოება“ (Lukin, 2018). ავტორი საუბრობს იმ მიზეზებზე თუ რატომ და როგორ გაღრმავდა მათი კავშირები დასავლეთის მიმართ არსებული ვითარების ფონზე. ამასთან, ლუკინი ასახელებს იმ მამოძრავებელ ძალებს, რამაც ეს დაახლოება განაპირობა.

Carnegie Endowment for International Peace-ის 2020 წლის ანალიზში "რუსეთი და ჩინეთი არქტიკაში: თანამშრომლობა, კონკურენცია და შედეგები" ხაზგასმულია ორ სუპერძალას შორის არსებული დაძაბულობა. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჩინეთი და რუსეთი მოქმედებენ თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ხშირად არ არის მსგავსი და რომ არქტიკაში მათი თანამშრომლობა ეკონომიკური ხასიათისაა. გარდა ამისა, RAND Corporation-ის 2024 წლის კვლევა "ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობები არქტიკაში: რა არის მათი პარტნიორობის

ჩრდილოეთის ზღვრები?" გაანალიზებულია ოთხი სცენარი სინო-რუსული ურთიერთობებისთვის არქტიკაში 2035 წლისთვის. კვლევაში აღნიშნულია, რომ რუსეთი ჩინეთს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დაიმკვიდროს თავი რეგიონში, ხოლო ჩინეთის ეკონომიკას და ტექნოლოგიებს შეუძლია არქტიკის ეკონომიკური სექტორის რეფორმა.

როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთ-ჩინეთს შორის არსებული თანამშრომლობის მიუხედავად, არქტიკაში მათი ფარული კონკურენცია შეინიშნება. განსხვავებული თვალსაზრისით, დიმიტრი ტრენინი აღნიშნავს რომ „მიმდინარე გეოპოლიტიკური კლიმატის პირობებშიც კი, მოსკოვისა და პეკინის არქტიკასთან დაკავშირებულ მიდგომებს შორის არსებული განსხვავებები ჯერჯერობით ძალიან დიდი აღმოჩნდა და მათ გადალახვა შეუძლებელია, რაც ჩინეთის წინსვლას შორეულ ჩრდილოეთში ზღუდავს“ (Trenin, 2020). საკითხის ამგვარი განხილვა უპირისპირდება იმ პოზიტიურ დამოკიდებულებებს, სადაც ორი ქვეყნის თანამშრომლობაზეა საუბარი. ეს ანალიზი აუცილებელია 2022 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენების კონტექსტში რუსეთ-ჩინეთის არქტიკული თანამშრომლობის გასაგებად, რადგან ტრენინი ხაზს უსვამს თანამშრომლობის ლიმიტებს და ინტერესთა განსხვავებებს, რაც რუსეთის შეშფოთებაზე მიანიშნებს.

დიმიტრი ტრენინის მოსაზრებას ეწინააღმდეგება The Diplomat-ის მიერ გამოქვეყნებული სტატიას, სადაც საუბარია ჩინეთსა და რუსეთს შორის არქტიკის მართვის ორმხრივ ფორმატებზე, მაგალითად „სინო-რუსული არქტიკული წყლის გზის ქვეკომიტეტი“. ეს ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება ტრენინის მოსაზრებას, რომ განსხვავებები „ძალიან დიდია“ და „გადაულახავი“, რადგან ამ მოლაპარაკებების არსებობა მიუთითებს დაძლევის მექანიზმებზე.

თანამშრომლობა არ გამორიცხავს კონკურენციას. ეს ნათლად ჩანს რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი არქტიკის რეგიონში. რუსეთის შიშებზე და ჩინეთის როლის ზრდის შეზღუდვის მცდელობებზე მეტყველებს NYT-დან გაჟონილი ანგარიშები. სტატიაში ,,რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური ჩინეთს „მტერს“ უწოდებს” განხილულია რუსეთის

FSB-ს (ფედერალური უსაფრთხოების სამსახური) შეშფოთება ჩინეთის მიმართ. ასევე ნახსენებია FSB-ს მიერ დაწყებული კონტრდაზვერვითი პროგრამა „ანტანტა-4“, რომელიც მიზნად ისახავდა ჩინეთის ჯაშუშების მიერ რუსეთის ინტერესების შელახვის პრევენციას. მსგავსი ქმედებები ლოგიკურია, რომ ეს მიუთითებს რუსეთის მხრიდან ჩინეთის გავლენის შეზღუდვის კონკრეტულ მცდელობებზე.

რობერტ ჰემილტონის უახლესი ნაშრომი „რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები: დრაკონისა და დათვის ცეკვა“ (Hamilton, 2024), სახელმწიფოთა ურთიერთობების ფართო და თანამედროვე ანალიზს გვთავაზობს, სადაც განხილულია 2024 წლის სამხედრო წვრთნები. ავტორის თქმით, ეს პარტნიორობა არა მარტივი, არამედ დინამიური და კომპლექსურია. მიუხედავად თანამშრომლობისა, არსებობს როგორც ინტერესთა თანხვედრა, ისე განსხვავებები (მაგალითად, უკრაინის ომზე ჩინეთის რეაქციის კონტექსტში), რაც კარგად ხსნის კონკურენციის ელემენტების არსებობას პარტნიორობის ფარგლებში. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანია RAND-ის მოხსენება „სინო-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის სამომავლო სცენარები“ (Cozad, Cooper, & Blanc, 2024), სადაც განხილულია თანამშრომლობის შესაძლებლობები და შეზღუდვები. ხაზგასმულია ისიც, რომ „თანამშრომლობა არ არის თავსებადობის ტოლფასი“. ეს გულისხმობს, რომ მიუხედავად ერთობლივი წვრთნებისა, მათი სამხედრო ძალები შესაძლოა არ იყო ურთიერთთავსებადი.

არქტიკაში რუსეთ-ჩინეთის კონკურენციის კვლევისას დიდი ადგილი უკავია ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტს (NSR), რომელსაც European Council on Foreign Relation წარმოადგენს 2024 წლის ანგარიშში - „დათვი ყინულის ქვეშ: რუსეთის ამბიციები არქტიკაში". ანგარიშში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ 2024 წლისთვის NSR- ზე არ დაფიქსირებულა არცერთი არა-რუსული საერთაშორისო ტრანზიტი 2022-2024 წლებში (Komin & Hosa, 2025). ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მოსკოვს აქვს მზარდი კონტროლი ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან მარშრუტზე.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ არქტიკის რეგიონში რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების შესწავლა კომპლექსური საკითხია. არსებული კვლევები ორ ძირითად მიმართულებაზეა კონცენტრირებული, კერძოდ ეკონომიკურ

თანამშრომლობასა და გეოპოლიტიკურ კონკურენციაზე. ასევე, აკადემიურ ნაშრომებში აქცენტი გაკეთებულია ძირითადად ეკონომიკურ საკითხებზე, ხოლო რუსეთის შიშებისა და პოლიტიკური ინსტრუმენტების ანალიზი მწირია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს არქტიკა რუსეთის პერსპექტივიდან, რაც ნაშრომის ძირითად კონტრიბუციას წარმოადგენს.

თეორიული ჩარჩო

იმისათვის, რომ ვიკვლიოთ რუსეთსა და ჩინეთ შორის არქტიკის რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური კონკურენცია, წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ნეორეალისტური თეორიული ჩარჩო, ანუ სტრუქტურული რეალიზმი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში დომინანტური მიმდინარეობაა და კენეთ უოლცის (Kenneth Waltz) ნაშრომის „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ (1979) ჩამოყალიბდა. ეს თეორია გვთავაზობს სახელმწიფოთა ქცევის ახსნას არა მათი შიდა მახასიათებლებიდან ან ლიდერთა გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, არამედ უშუალოდ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ანალიზის გზით.

ნეორეალიზმის მთავარი პოსტულატის მიხედვით საერთაშორისო სისტემა ანარქიულია. უოლცის მოსაზრებით მსოფლიო არენაზე არ არსებობს ცენტრალური, ლეგიტიმური და უზენაესი ხელისუფლება, რომელიც ამ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებს მოაგვარებდა ან მათ ქცევას გააკონტროლებდა ანარქიულ გარემოში. აქედან გამომდინარე, სწორედ სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები, რომელთა უმთავრესი მიზანი საკუთარი თავის გადარჩენაა.

ალექსანდრე რონდელი საკუთარ წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობები“ აღნიშნავს თუ როგორ განსაზღვრავს რეალიზმის თეორია საერთაშორისო ურთიერთობებს და გამოყოფს 4 ძირითად პუნქტს. მათ შორის ერთ-ერთია „საერთაშორისო პოლიტიკა ანარქიულ გარემოში ძალაუფლებისთვის ბრძოლას წარმოადგენს“ (რონდელი, 2006).

არქტიკაში რუსეთისა და ჩინეთის ქცევა სრულად შეესაბამება ნეორელიასტურ პრინციპებს. ორივე სახელმწიფო ცდილობს მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონტროლი რეგიონის უზარმაზარ ბუნებრივ რესურსებზე და ახალ სანაოსნო მარშრუტებზე, რადგან ეს უზრუნველყოფს მათ ეკონომიკურ უსაფრთხოებას და როლს მსოფლიო არენაზე. რუსეთისთვის არქტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ამ მოტივით კი უფრო მეტად აძლიერებს მის სურვილს, მოახდინოს რეგიონზე სრული კონტროლი ანარქიულ გარემოში, სადაც არ არსებობს ზემდგომი ორგანო, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს.

ნეორეალიზმის მიმართულება ორ ქვემიმართულებადაც იყოფა- თავდაცვითი და თავდასხმითი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე იზიარებს ძირითად პოსტულატებს ანარქიულ სისტემასა და სახელმწიფოების გადარჩენის საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებები არსებობს სახელმწიფოების მისწრაფებებთან დაკავშირებით. თავდაცვითი რეალიზმის პერსპექტივიდან, სახელმწიფოს საზრუნავი არ არის ძალაუფლებისა და გავლენის გაფართოება, ხოლო თავდასხმითი რეალიზმის მტკიცებით, სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა გაზარდონ გავლენა, რადგან სწორედ ეს არის გზა გადარჩენისთვის და გაძლიერებისთვის ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში.

აქედან გამომდინარე, მოცემული საკვლევი თემის ანალიზისთვის შეირჩა თავდასხმითი რეალიზმი, რომელიც კიდევ უფრო ღრმად ხსნის სახელმწიფოების აგრესიულ ქცევას ძალაუფლებისთვის ბრძოლაში. ეს მიმართულება პირველად ჯონ მერშაიმერმა (John Mearsheimer) ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში „The Tragedy of Great Politics".

მერშაიმერის თავდახმითი რეალიზმი ეფუძნება ხუთ ძირითად პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოების აგრესიულ ქცევებს. ის ეთანხმება უოლცს და ამბობს, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და დიდ სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული თავდახმითი სამხედრო შესაძლებლობები, რაც მოიაზრებს იმას, რომ ყველა სახელმწიფოს ააქვს იმის უნარი, საფრთხე

შეუქმნას სხვა სახელმწიფოს. ასევე მერშაიმერის მტკიცებით, სახელმწიფო ვერასდროს იქნება დარწმუნებული მეორე სახელმწიფოს განზრახვებში. აქედან გამომდინარე, ქვეყანა მუდამ ეცდება აწარმოოს თავდასხმითი პოლიტიკა და ძალაუფლება შეინარჩუნოს.

მერშაიმერი საკუთარ ნაშრომში საუბრობს სახელმწიფოს მთავარ მიზანზე- გადარჩენაზე. თითოეული ქვეყანა ისწრაფვის საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის. და ბოლოს, სახელმწიფოები რაციონალურ აქტორებად იქცევიან- ისინი ეძებენ ეფექტურ სტრატეგიებს, რათა გადარჩნენ. სწორედ ამ ვარაუდებიდან გამომდინარე, მერშაიმერი ასკვნის, რომ სახელმწიფოები მუდმივად ეძებენ შესაძლებლობებს გაზარდონ თავიანთი ძალაუფლება სხვა სახელმწიფოების ხარჯზე და გახდნენ ჰეგემონები რეგიონში.

წინამდებარე ნაშრომში რუსეთ-ჩინეთის კონკურენციის ანალიზისთვის თავდასხმითი რეალიზმის გამოყენება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ის უკეთ ხსნის რუსეთის აგრესიულ სტრატეგიას არქტიკაში. რუსეთის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ჩინეთის მზარდი გავლენის შეზღუდვას, სრულად შეესაბამება მერშაიმერის თეორიას. მათ შორის ჰეგემონიისკენ სწრაფვას, ჩინეთის პოტენციურ საფრთხედ მიჩნევასა და მის პრევენციულ პოლიტიკას.

კერძოდ, რუსეთი არქტიკას თავისი ეროვნული იდენტობისა და გეოპოლიტიკური ძალაუფლების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, ამიტომაც ცდილობს რეგიონული ჰეგემონიის მოპოვებას. ასევე, მიუხედავად დეკლარირებული პარტნიორობისა, რუსეთი ჩინეთის მზარდ აქტიურობას არქტიკაში აღიქვამს პოტენციურ საფრთხედ. მერშაიმერის თქმით, სახელმწიფოები მაშინ არიან პასიურები, როდესაც მათი უსაფრთხოება გარანტირებულია, ხოლო როდესაც სხვა სახელმწიფო ცდილობს რეგიონში გაძლიერებას, რაც ამ შემთხვევაში არის ჩინეთი, რეაქცია ხშირად აგრესიული ხასიათისაა და მიმართულია იმისკენ, რომ კონკურენტი შეაკავოს.

ამგვარად, ნეორეალიზმის და, კერძოდ, თავდასხმითი რეალიზმის გამოყენება თეორიულ ჩარჩოდ ეფექტურად აანალიზებს რუსეთ-ჩინეთის მზარდ როლს რეგიონში და იმას, თუ რატომ მოქმედებს მოსკოვი აგრესიულად თავისი პოლიტიკური ინტერესების დასაცავად.

საკვანძო ტერმინების განმარტება

გეოპოლიტიკური ინტერესები

გეოპოლიტიკური ინტერესები გულისხმობს სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებს რესურსების, სამხედრო შესაძლებლობებისა და პოლიტიკური გავლენის მაქსიმიზაციისაკენ, რაც განსაზღვრულია გეოგრაფიული მდებარეობით (Cohen, 2003). ამ შემთხვევაში გეოპოლიტიკური ინტერესები განიხილება, როგორც რუსეთის სურვილი შეინარჩუნოს თავისი ისტორიული და ტერიტორიული გავლენა არქტიკაში, კერძოდ ბუნებრივ რესურსებზე წვდომა, ახალი საზღვაო მარშრუტების კონტროლი და სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების გამყარება. არქტიკა აღქმულია როგორც რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ზონა.

ბუნებრივი რესურსების სტრატეგიული კონტროლი

ბუნებრივი რესურსების სტრატეგიული კონტროლი ნიშნავს სახელმწიფოების მცდელობას მოახდინონ ენერგო და ნედლეულის სტაბილური წყაროების მონოპოლიზაცია, რათა უზრუნველყონ მათი ეკონომიკური და პოლიტიკური ავტონომია (Klare, 2001). ეს სტრატეგია მოიცავს არა მხოლოდ უშუალო მოპოვებას, არამედ ტრანსპორტირების მარშრუტებზე, დისტრიბუციის კონტროლსაც, რათა მაქსიმალურად მოხდეს ეროვნული ინტერესების დაცვა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ნაშრომში მოცემული ტერმინი აღნიშნავს რუსეთის მიზანს გააკონტროლოს არქტიკის ზონაში არსებული ნავთობის, გაზისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მოპოვება და ტრანსპორტირება. რუსეთი ცდილობს არ

დაუშვას ჩინეთის სრული წვდომა სტრატეგიულ პროექტებზე და ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას იმით, რომ თავად ხდება პროექტების წამყვანი მოთამაშე.

ფარული კონკურენცია

ეს ტერმინი აღწერს მეტოქეობას სახელმწიფოებს შორის, რომელიც არ არის ღია ან დეკლარირებული, თუმცა ვლინდება არაპირდაპირი ქმედებებითა და სტრატეგიული ნაბიჯებით. ფარული კონკურენცია მოიცავს ქცევებს, რომელთა მიზანია გამარჯვება, ანუ საკუთარი პოზიციის გაუმჯობესება სხივის პოზიციის უგულებელყოფით, რომელიც დაფარულია სხვა მხარისგან (Zhong & Li, 2023). მიუხედავად რუსეთსა და ჩინეთს შორის გაცხადებული „ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობისა“, ნაშრომი აჩვენებს, რომ არქტიკაში მათი ურთიერთობა სწორედ ამ „ფარული კონკურენციით“ ხასიათდება. რაც ნიშნავს იმას, რომ რუსეთი, მიუხედავად თანამშრომლობისა, აქტიურად ცდილობს შეზღუდოს ჩინეთის გავლენა რეგიონში ისე, რომ არ დაუპირისპირდეს მას, რათა არ დაკარგოს პარტნიორობით მიღებული სარგებელი.

თავი 1. არქტიკის რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა რუსეთისა და ჩინეთისთვის

1.1 რუსეთის სწრაფვა არქტიკის რეგიონის ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ სტრატეგიულ კონტროლზე

არქტიკა თავისი უზარმაზარი რესურსებითა და სტრატეგიული მდებარეობით უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს. 21-ე საუკუნის დასაწყისიდან ბუნებრივი რესურსების მზარდი მოთხოვნისა და კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეულმა პროცესებმა არქტიკა გლობალური ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების ეპიცენტრად აქცია. 2013 წლიდან რეგიონის

საზღვრების ნაკლებმა კონტროლმა და ბარიერების შემცირებამ დიდად გაზარდა სახელმწიფოების ყურადღება არქტიკის მიმართ.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის (USGS) შეფასებით, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი სანდო ინსტიტუტია, არქტიკის რეგიონი აღმოუჩენელი, ტექნიკურად მოპოვებად ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავს. საშუალო შეფასებებზე დაყრდნობით საუბარია:

- 90 მილიარდ ბარელ ნავთობზე, რაც მსოფლიო აღმოუჩენელი ნავთობის რეზერვების დაახლოებით 13%-ს შეადგენს;
- 1, 669 ტრილიონ კუბურ ფუტ ბუნებრივი გაზზე - მსოფლიო აღმოუჩენელი გაზის რეზერვების 30%;
- 44 მილიარდ ბარელ ბუნებრივი აირის კონდენსატზე (NGLs).

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოუჩენელი ნავთობისა და გაზის რესურსების 84%-ზე მეტი, სავარაუდოდ, ოფშორულ ზონებშია განლაგებული. ამით ცხადი ხდება, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობისაა სამომავლო პერსპექტივაში გლობალური ენერგომომარაგებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

2023 წელს არქტიკაში მოპოვებული იქნა 2,978 მილიონი ბარელი წიაღისეული საწვავი (ნავთობი და ბუნებრივი გაზის ნავთობის ექვივალენტი), რაც 6%-ით ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, არქტიკაში წიაღისეული საწვავის მოპოვება, სავარაუდოდ, გაგრძელდება 2040-იან წლებამდე და მის ფარგლებს გარეთაც (Tracy, 2024).

2022 წლის მონაცემებით, რუსეთის არქტიკული ნავთობისა და გაზის მოპოვება შეადგენდა დღეში 10,65 მილიონ ბარელ ნავთობის ექვივალენტს. 2024 წლის მონაცემებით, რუსეთის ნავთობისა და გაზის მოპოვებამ დღეში 10,32 მილიონი ბარელი შეადგინა, რაც 2,8%-ით ნაკლები იყო 2023 წელთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ USGS რესურსების შეფასებას 33 გეოლოგიურად განსაზღვრული პროვინციის მიხედვით ახდენს და არა კონკრეტული ქვეყნების პროცენტული წილით, ამ შეფასების მიხედვით რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს რუსეთის ფედერაციის მიერ მოთხოვნილ ან მისი

იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე. ანგარიშში იდენტიფიცირებული პროვინციები, ძირითადად, ან მთლიანად რუსეთის არქტიკულ ტერიტორიაზე/EEZ-შია, რაც მოიცავს:

- **კარას ზღვა:** დაახლოებით 8.6 მილიარდი ბარელი ნავთობი, 632 ტრილიონი კუბური ფუტი ბუნებრივი გაზი და 17.6 მილიარდი ბარელი NGLs.
- **აღმოსავლეთ ბარენცის აუზი:** დაახლოებით 2.2 მილიარდი ბარელი ნავთობი, 412 ტრილიონი კუბური ფუტი ბუნებრივი გაზი და 4.6 მილიარდი ბარელი NGLs.
- **აღმოსავლეთ ციმბირის ზღვა:** დაახლოებით 4.3 მილიარდი ბარელი ნავთობი, 153 ტრილიონი კუბური ფუტი ბუნებრივი გაზი და 3.6 მილიარდი ბარელი NGLs.
- **ლაპტევის ზღვა:** დაახლოებით 2.5 მილიარდი ბარელი ნავთობი, 52 ტრილიონი კუბური ფუტი ბუნებრივი გაზი და 0.8 მილიარდი ბარელი NGLs

  (USGS, 2008).

რუსეთის არქტიკული ზონა (AZRF) არის იურიდიულად განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც მოიცავს არქტიკის ხმელეთს, კუნძულებსა და კონტინენტური შელფის დიდ ნაწილს. ხოლო სანაპირო ზოლს რაც შეეხება, რუსეთს აქვს ყველაზე გრძელი სანაპირო ზოლი არქტიკაში (იხ. დანართი 1). სწორედ ეს ვრცელი ტერიტორიული და საზღვაო კონტროლი განაპირობებს რუსეთის მზარდ ამბიციებსა და ინტერესებს რეგიონში.

მოცემული ანალიზის მიხედვით, არქტიკის აღმოუჩენელი რესურსები, განსაკუთრებით კი ბუნებრივი გაზი, მდებარეობს რუსეთის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და მის გაფართოებულ კონტინენტურ შელფში. არქტიკის რესურსებზე წვდომამ, მრავალმასშტაბიანმა პროექტებში ინვესტირების შესაძლებლობებმა არქტიკის მიმართ არაწევრი სახელმწიფოების ინტერესების ზრდა გამოიწვია, როგორიცაა ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია.

ისტორიულად რუსეთს მუდამ ჰქონდა სუვერენიტეტზე აქცენტი და არქტიკას მიიჩნევდა, როგორც „ეკონომიკური მომავლისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტად“. აქ მოიაზრებოდა რუსეთის ტერიტორიების, ექსკლუზიური ეკონომიკური ზონისა და განსაკუთრებით NSR-ის კონტროლი, რომელსაც ის „ეროვნულ სატრანსპორტო არტერიად“ მოიხსენიებს (Chatham House, 2012). 2000-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთის მნიშნელოვანმა ინვესტიციებმა სამხედრო და ინფრასტრუქტურის სფეროში ხაზი გაუსვა მის მიზანს დაეცვა ეკონომიკური ინტერესები, რითიც გამოვლინდა მისი პრეტენზიები. სწორედ ამ მტკიცე პოზიციამ, რომელიც რეგიონში დომინირებაზეა ფოკუსირებული, პირდაპირ შექმნა კონკურენციის ნიადაგი, სადაც რუსეთი მუდამ ცდილობდა დაეცვა თავისი მზარდი გეოპოლიტიკური ინტერესები გარე გავლენისგან.

გარდა ნავთობისა და გაზის უდიდესი მარაგებისა, არქტიკის რეგიონი აუთვისებელ ნახშირწყალბადის რესურსებს შეიცავს. პოტენციალთან ერთად, კლიმატის ცვლილებით განპირობებული მზარდი ხელმისაწვდომობა ზრდის გეოპოლიტიკურ ინტერესსა და კონკურენციას სახელმწიფოებს შორის. რუსეთი, რომელიც რეგიონის მარაგების დიდ ნაწილზე პრეტენზიას აცხადებს, არქტიკა არის ეროვნული ენერგეტიკული სტრატეგიისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის ქვაკუთხედი.

არქტიკის საგანძურში რუსეთის წილი უდავოდ დომინანტურია. იამალისა და გიდანის ნახევარკუნძულები, ბარენცისა და კარის ზღვა მიჩნეულია, როგორც არსებული და პოტენციური ნახშირწყალბადის განვითარების ძირითადი კერა. მსგავსი დიდი მარაგების არსებობა და მიმდინარე თუ დაგეგმილი პროექტები, როგორიცაა მაგალითად Yamal LNG, რუსეთის ამბიციებს ზრდის, რათა გააფართოვოს მისი როლი, როგორც გლობალურმა ენერგო მომწოდებელმა. მსგავსი არქტიკული შესაძლებლობები ახდენს მარშრუტების დივერსიფიკაციას ჩრდილოეთის საზღვაო გზის გავლით, ამით კი ძლიერდება რუსეთის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ბერკეტები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არქტიკის რეგიონის მსგავსი ბუნებრივი რესურსების პოტენციალი რუსეთისთვის არა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს წარმოადგენს, არამედ ეს არის სტრატეგიული მნიშვნელობის ინსტრუმენტი, რომელი უზრუნველყოფს მის ეროვნულ ენერგოუსაფრთხოებას, ინფრასტრუქტურის განვითარებასა რუსეთის გეოპოლიტიკური პოზიციის გაძლიერებას ჩრდილოეთში.

საინტერესოა რუსეთის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა და მისი წილი არქტიკის რესურსებში. პირველ რიგში ზოგადად მიმოვიხილოთ რუსეთის როლი რეგიონში.

პეჩორის ზღვაში მდებარეობს მინიმუმ 10 საოპერაციო ლიცენზირებული ტერიტორია, რომელთა მოსაპოვებელი რესურსები დაახლოებით 600 მილიონ ტონა ნავთობს და 161 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს შეადგენს. რუსული „გაზპრომ ნეფტი“ იყენებს მოწინავე ტექნოლოგიებს, მათ შორის ყინულგამძლე პლატფორმებსა და წყალქვეშა ჭაბურღილების მოწყობილობების დისტანციური მართვის სისტემას, ასევე უნიკალურ ლოგისტიკურ სქემას ნახშირწყალბადების წლიური ტრანსპორტირებისთვის, რომლის ძირითადი ელემენტებია „პრირაზლომნაიას“ ნავთობმოპოვების პლატფორმა, „არქტიკული კარიბჭის“ ტერმინალი და ყინულმტეხი ტანკერების ფლოტი. კომპანიამ ასევე შექმნა არქტიკული ლოგისტიკის მსოფლიოში პირველი ციფრული მართვის სისტემა, „კაპიტანი“, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების ეფექტურობასა და უსაფრთხოებას.

2023 წელს არქტიკაში წიაღისეული საწვავის საერთო მოპოვება წინა წელთან შედარებით 6%-ით შემცირდა, რაც, დიდწილად, რუსეთის მოპოვების მოცულობების შემცირებას უკავშირდება. მიუხედავად ამისა, რუსეთი რჩება ნახშირწყალბადების უმსხვილეს მწარმოებლად და ქვეყანამ არქტიკაში წიაღისეული საწვავის 90%-ზე მეტი მოიპოვა. რუსეთის არქტიკული მოპოვება მიმდინარეობს ორი დიდი ჩრდილოეთის მდინარის — პეჩორისა და ობის აუზებში, რომლებიც ბარენცისა და კარის ზღვებში ჩაედინება, ასევე, ის ავითარებს

ახალ ნავთობის პროექტს, სახელწოდებით „ვოსტოკ ოილი“, მდინარე ენისეის აუზში.

უფრო მეტიც, 2023 წელს არქტიკაში მოპოვებული იქნა 2,978 მილიონი ბარელი (BBL) წიაღისეული საწვავი (ნავთობი და ბუნებრივი აირის ნავთობის ექვივალენტი). რუსეთი იყო რეგიონში უმსხვილესი მწარმოებელი, რომელზეც მოდიოდა არქტიკული ნავთობისა და გაზის მთლიანი მოპოვების 91 პროცენტზე მეტი (2,707 მილიონი BBL) 2022 წელს. რუსეთი აგრძელებს არქტიკაში წიაღისეული საწვავის მოპოვებაში დომინირებას, რაც 28-ჯერ აღემატება ნორვეგიის და 15-ჯერ — ალასკის მოპოვებას (Tracy, 2024).

სტატიაში "Sustainable Development of Oil and Gas Potential of the Arctic and Its Shelf Zone: The Role of Innovations" საუბარია მიმდინარე და სამომავლო გეგმებზე, რომელის მიხედვითაც „პრირაზლომნოიეს“ საბადოზე 2025 წლისთვის ნავთობის წარმოების მოცულობა წელიწადში დაახლოებით 5 მილიონ ტონას მიაღწევს. ასევე მაშინაც კი, თუ რუსეთი ახალ მარაგებს არ განავითარებს, 2050 წლისთვის არსებული მარაგებიდან მოსალოდნელი მოცულობები 200-300 პროცენტით გადააჭარბებს პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებულ მიზნებს. პარიზის მიზნების მისაღწევად, რუსეთს მოუწევს რეგიონში მოქმედი ნავთობისა და გაზის საბადოების ნახევრის ვადაზე ადრე დახურვა.

განვიხილოთ რუსეთის არქტიკული პოლიტიკის ანგარიში რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებით 2013-დან 2024 წლამდე, რომელიც ხასიათდება განსხვავებული აქცენტებით.

2013 წლის თებერვალში დამტკიცებული „რუსეთის არქტიკის განვითარების სტრატეგია და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა 2020 წლის პერიოდამდე“ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელმაც გააფართოვა 2008 წელს მიღებული „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლები არქტიკაში 2020 წლისა და შემდგომი პერიოდისთვის“.

2013 წლის დოკუმენტში ძირითადი აქცენტები იყო არსებული რესურსების ბაზაზე, კონტინენტური შელფის განვითარებასა და უსაფრთხოებაზე. კერძოდ,

არქტიკის გამოყენებაზე, როგორც რუსეთის სტრატეგიულ რესურსულ ბაზაზე, ეროვნულ უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდისთვის. ასევე, ყურადღება გამახვილდა ფართომასშტაბიანი რესურსული პროექტების იმპლემენტაციასა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურების განვითარებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ არქტიკაში გადადგმული თითოეული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო „თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესებთან მაქსიმალური ხარისხით დაკავშირებული“, რაც ხაზს უსვამდა რესურსებზე კონტროლის აუცილებლობას. და ბოლოს, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია გავლენის განმტკიცებაზე. რუსეთის მიზანი იყო მსოფლიო რესურსების უფრო დიდი წილის ფლობა და მასზე კონტროლის მოპოვება (Russian Arctic Strategy 2013).

თუ 2013 წლის დოკუმენტში აქცენტი გაკეთებული იყო ეკონომიკურ განვითარებაზე და ეროვნულ უსაფრთხოებაზე, 2020 წლის ანგარიშში საუბარია გრძელვადიან გეგმებზე და კონკრეტულ რიცხობრივ მონაცემებზე. კერძოდ არქტიკაში მოპოვებული ნავთობის წილის გაზრდაზე ქვეყნის მთლიანი წარმოების 22%-მდე 2030 წლისთვის და 25%-მდე 2035 წლისთვის. ეს მიზნები დაკავშირებულია რუსეთის განზრახვასთან გააძლიეროს თავისი დომინანტური პოზიცია არქტიკულ ენერგეტიკულ სექტორში.

2024 წლის ანგარიში სხვა ანგარიშებისგან იმით განსხვავდება, რომ აქ აქცენტი გაკეთებულია გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე საერთაშორისო სანქციების ფონზე, თუმცა რესურსების მოპოვება მოწინავე ადგილზე რჩება. ძირითად მიმართულებებში უნდა გამოიყოს ის, რომ მოსკოვი აძლიერებს რეგიონში თავის როლს ნავთობის, გაზის და მინერალების მოპოვების მიზნით. ის პრიორიტეტს ანიჭებს არქტიკის განვითარებას, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას და ჩრდილოეთის საზღვაო გზის განვითარებას. რუსეთის მიზანია გაზარდოს NSR-ით ტვირთბრუნვა 216.45 მილიონ ტონამდე 2030 წლისთვის, ძირითადად ნავთობის, თხევადი ბუნებრივი გაზის (LNG), ფერადი ლითონებისა და ქვანახშირის ხარჯზე (Bifolchi, 2024)

რესურსების მოპოვებასთან ერთად, არქტიკა ცნობილია საზღვაო გზებით, განსაკუთრებით ჩრდილოეთის საზღვაო გზით (NSR). ის არის გაცილებით მოკლე ეკონომიკური მარშრუტი აზიასა და ევროპას შორის, რითიც მცირდება სატრანსპორტო ხარჯები. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის სუვერენულ კონტროლს NSR-ზე, კერძოდ სანავიგაციო წესებს, რაც რუსეთისთვის რეგიონში გავლენის შენარჩუნებისთვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია (იხ. დანართი 2).

2024 წელს Rosneft-მა გააფართოვა თავისი „ვოსტოკ ნავთობის“ (Vostok Oil) პროექტი, რითიც გაზარდა რესურსული ბაზა (Bellona, 2024). ეს პროექტი ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური ინიციატივაა რუსეთის არქტიკულ ენერგეტიკულ სექტორში.

სანქციების მიუხედავად, რუსეთი ინარჩუნებს ტემპს არქტიკისა და სუბარქტიკის რეგიონებში ენერგეტიკის განვითარებაში, მაგალითად, „Yamal LNG“ სრული დატვირთვით მუშაობს, ხოლო ,,Arctic LNG 2“ განვითარების პროცესშია. აშკარაა, რომ რუსეთი ცდილობს გამოიყენოს ახალი მოთამაშეები არქტიკაში (მაგალითად, ჩინეთი) სანქციების გვერდის ავლით საჭირო გემთმშენებლობის აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მოსაპოვებლად.

საერთო ჯამში ორივე პერიოდში რუსეთის არქტიკული პოლიტიკა რეგიონს მიიჩნევს, როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიულ რესურსულ ბაზას. აქცენტი რესურსების მოპოვებასა და ჩრდილოეთის ზღვის განვითარებაზე უცვლელი რჩება, თუმცა 2024 წლის ანგარიშში აღნიშნულია რუსეთის გეგმები საერთაშორისო სანქციების მიმართ, რაც იწვევს პარტნიორებზე დამოკიდებულების ზრდას.

1.2 ჩინეთის არქტიკული ინტერესები და "პოლარული აბრეშუმის გზა"

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ჩინეთი, რომელიც მის გლობალურ ინტერესებს აძლიერებს, დიდ დაინტერესებას იჩენს არქტიკის რეგიონის

მიმართაც. ეს დაინტერესება არ არის განპირობებული მხოლოდ სამეცნიერო კვლევებით. ის მოიცავს სტრატეგიულ, ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ მიზნებს, რაც ასახულია კიდეც „პოლარული აბრეშუმის გზის“ კონცეფციაში.

ზოგადად, ჩინეთის არქტიკაში ჩართულობა 1925 წლიდან იწყება, მას შემდეგ, რაც მოხდა შპიცბერგენის ხელშეკრულების რატიფიცირება (Pandey, 2023). 1990-იანი წლებიდან კი უფრო მეტად გააქტიურდა. 1989 წელს დაარსდა ჩინეთის პოლარული კვლევის ინსტიტუტი (PRIC), ხოლო 2004 წელს ფუნქციონირება დაიწყო კვლევითმა სადგურმა სვალბარდზე. 1999 წლის შემდეგ ჩატარებულმა არქტიკულმა ექსპედიციებმა ხელი შეუწყო იმას, რომ 2013 წელს ჩინეთს არქტიკულ საბჭოში დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭეს, ამით კი პეკინმა განიმტკიცა პოზიციები რეგიონში. მისი არქტიკული მიზნები სამეცნიერო სფეროს გასცდა.

2014 წელს პრეზიდენტმა სი ძინპინმა არქტიკის რეგიონის მიმართ ამბიციები გამოთქვა, რომ გამხდარიყო „მთავარი პოლარული ძალა“. მისთვის არქტიკული რეგიონი განიხილებოდა, როგორც მესამე „აბრეშუმის გზის“ კორიდორი ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივის ფარგლებში. 2017 წელს სი ძინპინმა და ვლადიმერ პუტინმა ერთობლივად შეიმუშავეს „პოლარული აბრეშუმის გზის“ კონცეფცია. აქედან ერთი წლის თავზე ჩინეთმა გამოაქვეყნა პირველი არქტიკული პოლიტიკის თეთრი წიგნი, სადაც ოფიციალურად ეწერა PSR-ის მშენებლობის შესახებ შემუშავებული გეგმა. წიგნში საუბარი იყო არქტიკის დაცვაზე, განვითარებაზე და მის მართვაში მონაწილეობაზე, რათა დაცული ყოფილიყო თითოეული ქვეყნის ინტერესი (Paul, 2025).

ისევე როგორც რუსეთის შემთხვევაში, ჩინეთის არქტიკული ინტერესების მთავარ მამოძრავებელ ძალას რეგიონის მზარდი ენერგეტიკული საჭიროებები წარმოადგენს. ოფიციალურად, 2017 წლიდან, ჩინეთი მსოფლიოში ნავთობის უმსხვილესი იმპორტიორია. მისი ნავთობზე იმპორტული დამოკიდებულება 2021 წელს 72%-ს შეადგენდა. ბუნებრივი გაზის მოხმარებაც მკვეთრად გაიზარდა და 2023 წელს ჩინეთი მსოფლიოში გაზის უმსხვილესი იმპორტიორი გახდა (China Power Team, 2025).

არქტიკული საზღვაო გზები ჩინეთისთვის ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებაა, რაც ისევე როგორც ექსპორტზე, ასევე იმპორტზეც აისახება და დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ჩინეთს. ჩინეთს აქვს ამბიცია, რომ მიიღოს წვდომა რესურსებზე, გააძლიეროს როლი არქტიკის გამგეობაში და შეამციროს დამოკიდებულება სხვა საზღვაო მონაკვეთებზე. მიუხედავად იმისა, რომ არქტიკა, ანტარქტიდისაგან განსხვავებით, არ არის რეგულირებადი, ის კარგ სატესტო ადგილს წარმოადგენს.

2018 წელს ისლანდიამ და ჩინეთმა კარჰოლში გახსნეს ჩინეთ-სკანდინავიის არქტიკული კვლევითი ცენტრის (CNARC) ერთობლივი კვლევითი სადგური. იქ ისინი მართავენ ჩინეთ-ისლანდიის არქტიკულ ობსერვატორიას (CIAO). გრენლანდიაში მსგავსი პროექტის წინადადება დანიამ უსაფრთხოების მიზეზების გამო უარყო.

ჩინეთის გაზრდილი ინტერესები არქტიკის მიმართ ყველაზე კარგად ჩანს რუსულ ენერგეტიკულ პროექტებში ინვესტიციების ზრდით. ამის თვალსაჩინო მაგალითია Yamal LNG და Arctic LNG 2. 2013 წელს China National Petroleum Corporation (CNPC)-მა შეიძინა 20%-იანი წილი $27 მილიარდიან Yamal LNG პროექტში. 2014 წელს კი Silk Road Fund-მა დამატებით 9.9%-იანი წილი მოიპოვა, ხოლო 2019 წელს, $21 მილიარდიანი Arctic LNG 2 პროექტის საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილების ფარგლებში, CNPC-მა და China National Offshore Oil Corporation (CNOOC)-მ თითოეულმა 10%-იანი წილი შეიძინეს, რითაც ჩინური კომპანიების ჯამური ინტერესი პროექტში 20% შეადგინა (Chow, 2021).

მსგავსი ინვესტიციებით ჩინეთმა ორმხრივი მოგება მიიღო - სტაბილური ენერგომარაგები და გამოცდილება არქტიკულ პროექტებში. ხოლო რუსეთმა დაფინანსება და ბაზრებზე წვდომა გაზარდა, ეს კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მისთვის, განსაკუთრებით სანქციების ფონზე.

გარდა ჰიდროკარბონული პროექტებისა, ჩინეთი ჩართულია ინფრასტრუქტურულ პროექტებში, რომელსაც აფართოებს არქტიკაში. მაგალითისთვის: ციმბირის სარკინიგზო პროექტი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი

კაბელების გაყვანა რეგიონში. რუსეთს დიდი ხანია სურს ჩინეთთან გაზის შესყიდვისა შეთანხმების დადება, ციმბირის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე იამალიდან ჩინეთში, მონღოლეთზე გამავალი მილსადენის (Power of Siberia 2) მშენებლობის გზით. პეკინი ყოყმანობს თანხმობის თაობაზე რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ის მოითხოვს დიდ კაპიტალურ დანახარჯებს, ასევე მილსადენების მონღოლეთზე ტრანზიტი ქმნის გეოპოლიტიკურ სირთულეებს, ამას კი ემატება მონღოლეთის არ დაინტერესება.

ჩინეთის ჩართულობა არქტიკის რეგიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა 2018 წელს, პირველი არქტიკული პოლიტიკის თეთრი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ. დოკუმენტში ცალკე თავი დაეთმო არქტიკას, როგორც ახლომდებარე სახელმწიფოს და ხსენებულ იქნა „პოლარული აბრეშუმის გზის“ (PSR) კონცეფცია, როგორც მისი ფართო „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ (BRI) ინიციატივის გაფართოება. BRI 5 ტრილიონი დოლარის ღირებულების გეგმაა, რომელიც მიზნად ისახავს ევროპასა და აზიას შორის ინფრასტრუქტურის განახლებას.

„პოლარული აბრეშუმის გზა“ არის BRI-ს არქტიკული განშტოება, რომლის მიზანია არქტიკაში ინფრასტრუქტურული პროექტების წახალისება, რაც შემდგომ დააკავშირებს აზიასა და ევროპას, კერძოდ ჩრდილოეთის საზღვაო მარშრუტის გავლით. ეს გზა არის სტრატეგიულად მნიშნელოვანი ობიექტი, რადგან წარმოადგენს სუეცის არხის ალტერნატივას. ეს სტრატეგიული უპირატესობა ეხმარება პეკინს „მალაკის სრუტის დილემის“ გადაჭრაში - გეოპოლიტიკური პრობლემისა, რომელიც გულისხმობს ჩინეთის ენერგიის იმპორტის 80%-ის დამოკიდებულებას მალაკის სრუტეზე, რაც პოტენციურ სისუსტეს ქმნის ჩინეთის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის (იხ. დანართი 3).

მზარდი ენერგეტიკული საჭიროებები ჩინეთის არქტიკით დაინტერესების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ქვეყნის ბუნებრივი გაზის მოთხოვნა იზრდება წელიწადში 8-10%-ით, ხოლო ნავთობის იმპორტი დღეში 10 მლნ დოლარს აღწევს. შესაბამისად, რესურსები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩინეთის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის. მათი პირდაპირი მიწოდებით მცირდება ტრანსპორტირების ხარჯები.

გეოპოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით, პეკინი ისწრაფვის მჭიდრო კავშირების გაღრმავებისკენ არქტიკულ სახელმწიფოებთან, როგორიცაა ისლანდია და გრენლანდია, რათა უზრუნველყოს სტრატეგიულ მარშრუტებზე წვდომა აშშ-ჩინეთის მეტოქეობის ფონზე. თეთრ წიგნში ხაზგასმულია საერთაშორისო სამართლის პატივისცემა და თანამშრომლობა, დოკუმენტში საუბარია ჩინეთის უფლებაზე, როგორც არა-არქტიკულ სახელმწიფოზე, მონაწილეობა მიიღოს არქტიკულ საქმეებში (China Arctic Policy; 2018).

ზემოხსენებული გეგმების განხორციელებაში მნიშვნელოვანია ჩინური ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობა. პროექტებს ხშირ შემთხვევაში აფინანსებს China Development Bank და Export-Import Bank of China. Silk Road Fund-ის მიერ Yamal LNG-ის დაფინანსება კარგი მაგალითია იმის, თუ როგორ იყენებს ქვეყანა სახელმწიფო კაპიტალს გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამ ბანკების დახმარებით, ჩინეთს შეუძლია უფრო კონკურენტული ფასების შეთავაზება სახელმწიფოებისთვის, ვიდრე დასავლეთი სთავაზობს.

ამ მიზნების მისაღწევად ჩინეთი აქტიურად არის ჩართული ორმხრივ არქტიკულ დიპლომატიაში, ავითარებს ინფრასტრუქტურას იამალის ნახევარკუნძულზე. ჩინეთის მზარდი საზღვაო გადაზიდვების სექტორი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დააკმაყოფილოს კომერციულ ყინულმჭრელებსა და გემებზე მზარდი გლობალური მოთხოვნა, რაც აუცილებელია არქტიკაში ოპერაციებისთვის (Gudjonsson & Nielsson, 2017).

ჩინეთის მრავალმხრივი მიდგომა არქტიკის რეგიონის მიმართ აღნიშნავს მის ამბიციას, გახდეს „მთავარი პოლარული ძალა“. ინვესტიციებით, ენერგეტიკული პროექტებითა და საზღვაო მარშრუტების გამოყენებით, ჩინეთი სწრაფად ამტკიცებს თავის როლს რეგიონში. მის მიერ გადადგმული ნაბიჯები დასტურია იმის, რომ არქტიკა რჩება ჩინეთის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილად.

თავი 2. რუსეთის გეოპოლიტიკური ქმედებები და პოლიტიკა, ჩინეთის მზარდი გავლენის შესაზღუდად არქტიკაში (2013-2024)

2.1 ჩინეთის სტატუსის ცვლილება არქტიკულ საბჭოში და რუსეთის საპასუხო რეაქციები

ჩინეთს არქტიკული საბჭოს დამკვირვებლის სტატუსი 2013 წელს მიენიჭა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯით ჩინეთის მზარდი გლობალური ამბიციები დიპლომატიურად განისაზღვრა, მან რუსეთის მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია. რუსეთი, როგორც ყველაზე დიდი არქტიკული ძალა, ჩინეთის მზარდ ჩართულობას გამოწვევად აღიქვამდა და მას რეგიონის კონტროლის მხრივ საფრთხედ მიიჩნევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ჩინეთის არქტიკულ საბჭოში მიღებას მაშინვე არ დაეთანხმა. მოსკოვმა პეკინს ორი პირობა წაუყენა: ჩინეთს პატივი უნდა ეცა რეგიონული ძალების სუვერენიტეტზე და დაეცვა ნავიგაციის თავისუფალი წესები. ამ ნაბიჯით ცხადი იყო რუსეთის მიზანი, შეენარჩუნებინა კონტროლი არქტიკის მართვაზე. რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულება ჩინეთის „არქტიკის მახლობელი სახელმწიფოს“ სტატუსთან დაკავშირებით გამოჩნდა განსხვავებულ ხედვებში: თუკი პეკინი ამტკიცებდა, რომ „არქტიკა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის“ და მხარს უჭერდა ინკლუზიურ, მულტილატერალურ მიდგომას, მოსკოვი მტკიცედ იცავდა არქტიკული სახელმწიფოების ექსკლუზიურ უფლებებს და პრიორიტეტს ანიჭებდა სანაპირო ზოლის მქონე ხუთი სახელმწიფოს (კანადა, დანია, ნორვეგია, რუსეთი, აშშ) ინტერესებს. ეს ფუნდამენტური განსხვავება ქმნიდა დაძაბულობას მათ ურთიერთობაში, მიუხედავად ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალისა (Dagaev, 2025).

ჩინეთისთვის არქტიკის სტრატეგიული მნიშვნელობა პირველ რიგში რეგიონის უნიკალურ ბუნებრივ რესურსებს უკავშირდება. ჩინეთი, რომელიც მსოფლიოს უდიდესი ენერგო მომხმარებელია, დიდად არის დაინტერესებული ამ რესურსებზე წვდომით. 2024 წლის ივნისის მონაცემებით, ჩინეთი იყო რუსული

LNG-ის მეორე უდიდესი იმპორტიორი (22%), რაც აღნიშნავს ორი ქვეყნის ენერგეტიკულ ურთიერთდამოკიდებულებას.

ჩინეთი დამკვირვებლის სტატუსის მოპოვების შემდეგ აქტიურად ცდილობდა თავისი როლის განმტკიცებას. პეკინი განაგრძობდა არქტიკაში სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, რეგიონის დაცვას და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად არქტიკის ერთობლივ მართვაში მონაწილეობას. ჩინეთს სურდა თანამშრომლობის შესაძლებლობების ძიება არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ რეგიონის სხვა სახელმწიფოებთანაც. ამ გეგმით ჩინეთი მიზნად ისახავდა ლეგიტიმაციის განმტკიცებას, როგორც გლობალური ძალის, რომელიც დაინტერესებულია არქტიკის მდგრადი განვითარებით.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და ჩინეთს შორის არქტიკული თანამშრომლობა, განსაკუთრებით ენერგეტიკულ პროექტებში (როგორიცაა Yamal LNG), გაღრმავდა (რაც რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა 2014 წლის დასავლური სანქციების შემდეგ), ამ პარტნიორობის ფარგლებშიც კი დაძაბულობა შენარჩუნდა. რუსი ოფიციალური პირები, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და მისი მოადგილე ალექსანდრე გრუშკო, მუდმივად ხაზს უსვამდნენ „არქტიკული სახელმწიფოების პრეროგატივას“ და არქტიკული საბჭოს, როგორც „უნიკალური ფორმატის“ მნიშვნელობას, რომელიც გადაწყვეტილებებს არქტიკული სახელმწიფოების მიერ იღებს. რუსეთს ამჯობინებდა ჩინეთის ორმხრივ ჩართვას ეკონომიკურად მომგებიან პროექტებში, ვიდრე მულტილატერალურ ფორუმებში, სადაც ჩინეთს შესაძლოა მოეთხოვა მართვის უფრო სერიოზული რეფორმები ჩრდილოეთის საზღვაო მარშრუტზე, რომელსაც რუსეთი თავის შიდა სატრანსპორტო არტერიად მიიჩნევს.

ჩინეთის დამკვირვებლის სტატუსმა არქტიკულ საბჭოში 2013 წლიდან ხელი შეუწყო რეგიონში რთული დინამიკის შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა მოიპოვა წვდომა და შესაძლებლობა განეხორციელებინა აქტივობები არქტიკაში, მისი სტატუსი არ განმუხტავს რუსეთის შიშებს მისი გრძელვადიანი გეოპოლიტიკური მიზნების შესახებ.

აქედან გამომდინარე, რუსეთი ინარჩუნებს კონტროლს ჩრდილოეთის საზღვაო მარშრუტზე, რომელიც რუსეთის არქტიკულ სანაპირო ზოლს მიუყვება. NSR-ის დიდი ნაწილი რუსეთის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში (EEZ) შედის, რაც მოსკოვს საშუალებას აძლევს დააწესოს ტრანზიტის ტარიფები და მკაცრი წესები მარშრუტის გამოყენებისთვის უცხოური ფირმებისთვის. ვფიქრობ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩინეთი დაემორჩილოს ასეთ მკაცრ რუსულ კონტროლს, რადგან ის თავის სავაჭრო მარშრუტებს აკონტროლებს და დივერსიფიკაციას უწევს. რუსეთს ურჩევნია შორს დაიჭიროს თავი არა არქტიკული სახელმწიფოებისგან, რათა საკუთარი დომინირება შეინარჩუნოს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არქტიკაში საკუთარი ინტერესების დასაცავად და რეგიონში მმართველობის შენარჩუნების მიზნით, რუსეთმა გააფორმა შეთანხმებები კანადასა და ისლანდიასთან. რუსეთსა და კანადას შორის არსებობს შეთანხმება არქტიკულ ზონაში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო სფეროსთან. ასევე, რუსეთმა და ისლანდიამ მონაწილეობა მიიღეს სხვა არქტიკულ ქვეყნებთან ერთად მრავალმხრივ შეთანხმებაში, როგორიცაა 2011 წლის არქტიკის საჰაერო და საზღვაო სამძებრო-სამაშველო თანამშრომლობის შეთანხმება. ამ შეთანხმებებმა, ისევე როგორც არქტიკული სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტისა და რეგიონული მმართველობის პრიორიტეტულობის მუდმივმა ხაზგასმამ, შესაძლოა არაპირდაპირ ხელი შეუშალოს ჩინეთის მცდელობებს, გააფართოვოს თავისი გავლენა მმართველობით სტრუქტურებში.

არქტიკაში ჩინეთის მზარდ როლთან დაკავშირებით რუსეთის შეშფოთება არაერთი ოფიციალური პირის განცხადებით დასტურდება. ამით ნათელი ხდება მოსკოვის სურვილი, შეუზღუდოს პეკინს წვდომა რეგიონულ შეხვედრებში. რუსეთის მთავარი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ არქტიკულ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეს მეტი პრივილეგია და უფლებები რეგიონის მართვა-გამგეობაში. ამით კი იზღუდება ჩინეთის გავლენა.

რუსი ოფიციალური პირები ეწინააღმდეგებიან ჩინეთის „ახლო-არქტიკულ სახელმწიფოდ“ მოხსენიებას. „ჩვენ არ ვეთანხმებით ჩინეთის ახლო-არქტიკულ

იდენტობას“, „რუსეთი არ არის დაინტერესებული არქტიკის რეგიონზე პასუხისმგებლობის საკუთარი წილის სხვა ქვეყნებთან განაწილებით“- ნათქვამია რუსი პოლიტიკოსების განცხადებებში. ამით ცხადი ხდება, რომ რუსეთი არ აღიარებს ჩინეთის მცდელობებს, მოიპოვოს განსაკუთრებული სტატუსი რეგიონში.

2015 წლის თებერვალში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი შოიგუმ, ნათლად გამოხატა თავისი გაღიზიანება იმის გამო, თუ როგორ „ჯიუტად ისწრაფვის არქტიკისკენ“ ზოგიერთი არაარქტიკული სახელმწიფო. „უფრო მეტიც, რუსეთი არ ანიჭებს პრიორიტეტს არქტიკული წრის შეხვედრებში მაღალი დონის დელეგაციებით მონაწილეობას“, „ამიტომ, არ არის ძნელი მისახვედრი, თუ რატომ არის რუსეთი ასე განწყობილი იმის გამო, რომ ისეთი მზარდი ძალა-და პოტენციური მეტოქე-როგორიცაა ჩინეთი, უფრო მეტად ინტერესდება რეგიონით“ (Sørensen & Klimenko, 2017).

ამრიგად, ჩინეთის დამკვირვებლის სტატუსმა არქტიკულ საბჭოში რეგიონში რთული გეოპოლიტიკური ვითარება შექმნა. მიუხედავად ჩინეთის ლეგიტიმური წვდომისა და უფლებისა, განახორციელოს აქტივობები არქტიკაში, მისი ამბიციები კვლავ იწვევს რუსეთის უკმაყოფილებას და შიშებს რეგიონში გეოპოლიტიკური ბალანსის კონტექსტში.

2.2 სამხედრო აქტივობები და ინფრასტრუქტურის განვითარება არქტიკაში

გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯებისა, რუსეთი აქტიურად აძლიერებს სამხედრო ძალას არქტიკაში. ეს მიდგომა პირველ რიგში დაკავშირებულია საკუთარი სუვერენიტეტის განმტკიცებასთან და ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტის კონტროლის ზრდასთან. ეს ქმედებები მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთის მიზანია შეზღუდოს ნებისმიერი გარე აქტორის, მათ შორის ჩინეთის, აქტივობა მისი მკაცრი რეგულაციებით არქტიკულ ზონაში, რომელიც ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

რუსეთმა ბოლო პერიოდში მასშტაბური ინვესტიციები განახორციელა არქტიკაში საბჭოთა სამხედრო ობიექტების აღსადგენად და ახალი ბაზების ასაშენებლად. 2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, რუსეთს არქტიკის რეგიონში 32 „მუდმივი სამხედრო ობიექტი“ ფუნქციონირებს, ხოლო სხვა შეფასებებით ბოლო ექვსი წლის განმავლობაში 475-ზე მეტი სამხედრო ბაზა შეინიშნება ჩრდილოეთის საზღვარზე (Laws, 2025). ეს ციფრები ასახავს რუსეთის სტრატეგიულ მიზანს - უზრუნველყოს მისი ექსკლუზიური კონტროლი რეგიონზე.

რუსეთის არქტიკული სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარების ნათელი მაგალითია ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ნაგურსკოეს ავიაბაზა (Nagurskoye), რომელიც მდებარეობს ალექსანდრას მიწაზე. ეს ავიაბაზა რუსეთმა აღჭურვა უახლესი რაკეტებითა და რადარებით. ობიექტს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ტიპის თვითმფრინავი, მათ შორის ბირთვული შესაძლებლობების მქონე სტრატეგიული ბომბდამშენები (Conley et al., 2020). ნაგურსკოე სტრატეგიულად მნიშვნლოვანი ობიექტია, რადგან ის აკონტროლებს ფრანც იოსების მიწის არქიპელაგს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი „გასაღებია“ ევროპული არქტიკისკენ.

არანაკლებ სტრატეგიული მნიშვნელობისაა ტემპის ავიაბაზა ახალი ციმბირის კუნძულებზე, რომელიც მდებარეობს ლაპტევისა და აღმოსავლეთ ციმბირის ზღვებს შორის. ის არის ერთ-ერთი მთავარი არქტიკული სამხედრო ბაზა, რომელსაც აქვს თანამედროვე ასაფრენი ბილიკი და გაძლიერებული სანაპირო თავდაცვის სისტემები.

განახლებული ავიაბაზები, რადარის ობიექტები და სათვალთვალო პოსტები (როგორიცაა Rezonans-N და Sopka-2, რომლებიც უზრუნველყოფენ საჰაერო სივრცის სრულ რადარულ დაფარვას რუსეთის არქტიკულ საზღვარზე) განთავსებულია ვრანგელის კუნძულზე, კონცხ შმიდტზე და როგაჩევოში. ეს სისტემები უზრუნველყოფენ 360 -გრადუსიან უსაფრთხოების კონტროლს.

ავიაბაზების განახლების გარდა, რუსეთი მუდმივად ატარებს სამხედრო წვრთნებს არქტიკაში, ზოგჯერ ჩინეთთან ერთადაც. მაგალითად, 2024 წელს ჩატარდა მასშტაბური საზღვაო და საჰაერო წვრთნები „Ocean-24“ წყნარ ოკეანესა და

არქტიკაში (Official Website of the President of Russia, 2024). ეს მიუთითებს რუსეთის ორმაგ სტრატეგიაზე. მიუხედავად ორმხრივი თანამშრომლობისა, ეს ოპერაცია ემსახურებოდა რუსეთის თავდაცვითი მიზნების, საკუთარი რესურსების დაცვის განმტკიცებას. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ კი რუსეთს საშუალება ექნებოდა ეკარნახა პირობები ნებისმიერი აქტორისთვის, მათ შორის ჩინეთისთვის, რომელიც ცდილობდა და ცდილობს რეგიონში მოქმედებას.

რუსეთის მოცემული ქმედებების გაანალიზება არქტიკაში, კერძოდ მისი სამხედრო ჩართულობის ზრდა და ჩინეთის როლის შეზღუდვის მცდელობებს კარგად ხსნის თავდასხმითი რეალიზმის თეორიული ჩარჩო. მერშაიმერი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში მოქმედებენ და ისინი მუდამ ცდილობენ უსაფრთხოების მაქსიმიზაციას, ძალაუფლების ზრდას და მიისწრაფვიან ჰეგემონიისკენ. რუსეთის მზარდი სამხედრო ძალა და ახალი ბაზების მშენებლობა, პირდაპირ კავშირშია უსაფრთხოების მაქსიმიზაციის პრინციპთან. რუსეთს სურს დაიცვას თავისი არქტიკული საზღვრები, ბუნებრივი რესურსები, რომელიც მთავარი ბერკეტია ეროვნული უსაფრთხოებისთვის და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებით მოსკოვი ახდენს ძალის პროექტირებას რეგიონში, რითიც აძლიერებს მის ფარდობით ძალაუფლებას პოტენციურ მეტოქეებთან, განსაკუთრებით ჩინეთთან მიმართებით.

გარდა ამისა, ჩინეთის აქტივობების შეზღუდვა და მისი არქტიკის მმართველობის პროცესებში მონაწილეობის თავიდან აცილება შეესაბამება ჰეგემონობისკენ სწრაფვას. რუსეთისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთის როლის პროგრესული ზრდა რეგიონში. რუსი ოფიციალური პირების განცხადებები ნათლად წარმოაჩენს მის მიზანს, მინიმუმამდე დაიყვანოს ჩინეთის ნებისმიერი აქტივობა არქტიკაში, რასაც გააკონტროლებს თავისი რეგულაციებით.

თუკი თავდასხმითი რეალიზმის პრიზმიდან შევხედავთ რუსეთის მცდელობებს, ის ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს თავისი უსაფრთხოება და ძალაუფლება

საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება. ზემოხსენებული ქმედებები მიუთითებს მოსკოვის სწრაფვას უსაფრთხოების მაქსიმიზაციისკენ და ჰეგემონიისკენ, რათა ამით უზრუნველყოს საკუთარი გადარჩენა.

მოსკოვის სამხედრო მოწყობა არქტიკაში ახალი გეოსტრატეგიული ვითარების შექმნაზე მიუთითებს, სადაც ჩინეთის მანევრირების სივრცე საკმაოდ იზღუდება. ამით კი რუსეთი უზრუნველყოფს ტერიტორიულ კონტროლს, კერძოდ სრულ დომინირებას რუსეთის არქტიკულ წყლებზე, სტრატეგიულ შეკავებას და ეკონომიკურ ბერკეტს, რაც გამოიხატება ენერგორესურსების კონტროლში.

2.3 თანამშრომლობა და კონტროლი ენერგოპროექტებში

რუსეთსა და ჩინეთს შორის თანამშრომლობა არქტიკის ენერგეტიკულ პროექტებში, რთული და მრავალმხრივია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ჩართულია საინვესტიციო პროექტებში, ჩინეთთან ერთად, ის ცდილობს შეინარჩუნოს კონტროლი პროექტებზე და რეგიონში, რათა დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები და გეოპოლიტიკური პოზიციები.

იამალ LNG პროექტი რუსეთ-ჩინეთის ენერგეტიკული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. მოსკოვი ცდილობს შეინარჩუნოს სრული კონტროლი არქტიკის ენერგეტიკულ პროექტებზე, მიუხედავად ჩინეთის მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა. სტატისტიკური მონაცემებით, Novatek ფლობს 50.1%-ს, ხოლო Total S.A. და CNPC- 20%, რაც შეეხება China's Silk Road Fund -ს - 9.9%. აქედან გამომდინარე, ჩინეთის წილი მთლიანად არის 29,9%, რაც მიანიშნებს მის მნიშვნელოვან როლზე ინვესტიციაში. ჩინეთის მიერ 9,9%-იანი წილის შეძენით 1,09 მილიარდი ევროს ინვესტიცია განხორციელდა (Novatek, 2016). ამ მონაცემებით ცხადი ხდება, რომ რუსეთი თანახმაა მიიღოს ჩინური ინვესტიციები და ტექნოლოგიები, თუმცა სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღებას მისთვის იტოვებს.

არქტიკული LNG 2 პროექტი კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის აჩვენებს დასავლური სანქციების ზეგავლენას ამ თანამშრომლობაზე. 2019 წლის აპრილში ჩინურმა ნავთობკომპანიებმა CNPC-მ და CNOOC-მ ერთობლივად შეიძინეს „არქტიკული LNG 2“-ის 20%-იანი წილი, რითაც პეკინი პროექტის უმსხვილეს ინვესტორად იქცა.

თუმცა, 2023 წლის დეკემბერში ამერიკის მიერ სანქციების დაწესების შემდეგ, ვითარება შეიცვალა. ერთის მხრივ, ჩინური კომპანიები გახდნენ რუსული მხარისთვის ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის (მაგალითად, გაზის ტურბინების) მნიშვნელოვანი მიმწოდებლები, ხოლო მეორე მხრივ პეკინი იძულებული გახდა შეეჩერებინა მონაწილეობა პროექტში, CNPC-მ და CNOOC-მ, პროექტიდან გასვლა დაიწყეს სანქციების გაძლიერების საპასუხოდ, რადგან ისინი LNG-ის შეერთებული შტატებიდანაც ყიდულობდნენ და არ სურდათ პრობლემების შექმნა. ჩინეთის ეს პოზიცია აღნიშნავს მის სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც, ის რუსეთთან თანამშრომლობით ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე ზრუნავს და ასევე არ სურს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გაუარესება. მიუხედავად ჩინეთის მხარდაჭერისა, პროექტი სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა აშშ-ის სანქციების გამკაცრების გამო.

რუსეთი და ჩინეთი არქტიკული LNG 2-ის გარდა, ენერგეტიკის სფეროში სხვა მნიშვნელოვან პროექტებსა და მიმართულებებშიც თანამშრომლობენ. ეს თანამშრომლობა მოიცავს როგორც ბუნებრივ აირს და ნავთობს, ისე ბირთვულ და განახლებად ენერგიებს. მათ შორის არის ციმბირის ძალა 1 (Power of Siberia 1 - PS-1) გაზსადენი, რომელი არის ძირითადი ბუნებრივი აირის მიწოდების მარშრუტი რუსეთიდან ჩინეთში და 2019 წლიდან ოპერირებს. ის წარმოადგენს გრძელვადიან, მილიარდობით დოლარის ღირებულების კონტრაქტს რუსულ „გაზპრომსა“ და ჩინურ CNPC-ს შორის. ამ 30-წლიანი კონტრაქტის ღირებულება 400 მილიარდ დოლარს შეადგენს და ერთ-ერთი უმსხვილესი ენერგეტიკული პროექტია მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, ციმბირის ძალა 2 (Power of Siberia 2 - PS-2) გაზსადენის მოლაპარაკებები ამ ეტაპზე შეჩერებულია, რაც დაკავშირებულია ორ ქვეყანას შორის განსხვავებული ხედვების არსებობაზე. ამ მდგომარეობით ცხადი

ხდება, რომ მიუხედავად მჭიდრო თანამშრომლობისა, ორივე ქვეყანა პრიორიტეტს საკუთარ ეროვნულ ინტერესს ანიჭებს.

გარდა ამისა, რუსეთსა და ჩინეთს შორის მიმდინარეობს ფართო თანამშრომლობა ბირთვულ ინდუსტრიაში, მათ შორის ატომური ელექტროსადგურების მშენებლობასა და ტექნოლოგიების გაცვლაში. ორივე ქვეყანა განიხილავს თანამშრომლობას განახლებადი ენერგიების სფეროში, მათ შორის წყალბადის ენერგიის განვითარებაში და ჩინური ინვესტიციებით მზისა და ქარის ელექტროსადგურების მშენებლობას რუსეთში.

მსგავსი პროექტები ხაზს უსვამს რუსეთის ენერგეტიკული ექსპორტის დივერსიფიკაციის სტრატეგიას დასავლური ბაზრებიდან აზიურისკენ, განსაკუთრებით სანქციების ფონზე, და ჩინეთის მზარდ საჭიროებებს ენერგორესურსებზე. ეს სტრატეგია ხსნის რუსეთის დილემას: ერთის მხრივ, მას სჭირდება ჩინური ინვესტიციები და ტექნოლოგიები, ხოლო მეორე მხრივ მას ეშინია ენერგეტიკულ სექტორში ჩინეთის მეტად ჩარევის.

თავი 3. რუსეთის პოლიტიკა და ქმედებები ჩინეთის გავლენის შეზღუდვისკენ (2022-2024)

3.1 უკრაინის ომის გავლენა და დასავლეთის სანქციები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრა განახორციელა, რის შემდეგაც დასავლურმა სანქციებმა ის ეკონომიკურ იზოლაციაში მოაქცია. რუსეთი იძულებული გახდა გაეზარდა მოთხოვნა ჩინურ ინვესტიციებზე, ბაზრებზე და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე.

უკრაინის ომმა და დასავლეთის სანქციებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა რუსეთის ენერგეტიკული ბაზრების ორიენტაცია ჩინეთისკენ, რამაც დასავლური კომპანიების რეგიონიდან გასვლა და ჩინური ინვესტიციების ზრდა გამოიწვია.

2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, ჩინეთის როლი გაიზარდა. 2022 წელს 6200-ზე მეტი უცხოური კომპანიის გასვლამ რუსეთის ბაზარზე შექმნა ერთგვარი ცარიელი სივრცე, რომელიც ჩინელმა ექსპორტიორებმა შეავსეს. აგრეთვე დასავლური სანქციების საპასუხოდ, რუსეთმა არქტიკა ჩინეთისთვის უპრეცედენტოდ გახსნა. რომლის დასტურია ინვესტიციები ჩრდილოეთის საზღვაო გზის განვითარებაში. 2023 წლისთვის ორმხრივი ვაჭრობა 240 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც უცვლელ ფასებში 63%-იან ზრდას ნიშნავს 2021 წელთან შედარებით. 2023 წელს ჩინურმა ექსპორტმა რუსეთში გადააჭარბა 111 მლრდ დოლარს, რაც 67%-ით მეტია 2021 წლის მონაცემებზე. დღესდღეობით ჩინეთი რუსეთის იმპორტის დაახლოებით ნახევარზეა პასუხისმგებელი, ხოლო ომის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ მეოთხედს შეადგენდა (Prokopenko, 2024). ამით ცხადი ხდება, თუ რამდენად გაზარდა რუსეთმა ჩინეთის მიმართ ეკონომიკური დამოკიდებულება.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, დასავლური ენერგეტიკული გიგანტების უმეტესობამ რუსული პროექტები დატოვა. მათ შორის იყო Shell, BP, Equinor, TotalEnergies და სხვა მნიშვნელოვანი კომპანიები, რომლებიც ათწლეულები იყვნენ რუსულ ბაზარზე. რა თქმა უნდა, ვინმეს უნდა შეევსო მოცემული სიცარიელე. 2023 წელს გამოჩნდნენ ჩინური სახელმწიფო კომპანიები, რომლებმაც არ გაუშვეს შანსი ხელიდან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შემდგომში მეორადი სანქციების მსხვერპლი გახდა. 2024 წლის დასაწყისისთვის, 2023 წელთან შედარებით, ჩინური კომპანიების რაოდენობა რუსეთში 32%-ით გაიზარდა.

კერძოდ, გაიზარდა ინვესტიციები. 2022 წლის იანვრიდან 2023 წლის ივნისამდე, 234 ჩინური კომპანია დარეგისტრირდა რუსეთის მიერ კონტროლირებად არქტიკულ ტერიტორიაზე. დასავლური ტექნოლოგიების შეზღუდვის შემდეგ, რუსეთი გადავიდა ჩინურ მომწოდებლებზე. მაგალითად, Novatek-მა Baker Hughes-ის (დასავლური) ნაცვლად, გაზის ტურბინებისთვის ჩინური Harbin Guanghan-ი აირჩია (Rao & Gruenig, 2024).

ერთ-ერთი მნიშვნელოვან სიახლედ იქცა 2023 წლის მარტში რუსეთსა და ჩნეთს შორის შეთანხმების გაფორმება ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შესაქმნელად

ჩრდილოეთის საზღვაო გზის პროექტის წინსვლისთვის. 2023 წელს ჩრდილოეთის საზღვაო გზის გავლით ჩინეთში რუსული ნავთობის გადამზიდმა გემებმა 11-ჯერ გადაიტანეს ტვირთი, ხოლო 2022 წელს-მხოლოდ ერთხელ. მსგავსი შემთხვევა ნათლად აჩვენებს თუ როგორ გახდა რუსეთი იძულებული მიეცა წვდომა ჩინეთისთვის მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან არქტიკულ ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, ჩინეთმა განახორციელა ინვესტიციები ტიტანის მოპოვებაში კომის რესპუბლიკაში, რაც ცვლის ინტერესს კრიტიკული მინერალებისადმი. 2023 წელს China Communications Construction Company (CCCC) -მა გააფორმა ხელშეკრულება რუსულ Titanium Resources-თან მინერალების ძიებაზე და სოსნოგორსკ-ინდიგას (Sosnogorsk-Indiga) რკინიგზის გაფართოებაზე.

ეს ყველაფერი არ არის. 2023 წლის დასაწყისში China Communications Construction Company-მ ხელი მოაწერა შეთანხმებას Rustitan-თან ამ უმსხვილესი ტიტანის საბადოს განვითარებაზე, რაც მოიცავს ახალი რკინიგზის მშენებლობას და პორტის განვითარებას. ასევე 2024 წელს ჩინურმა კომპანია MCC International Incorporation-მა პარტნიორობა დაამყარა Polar Lithium-თან, სახელმწიფო Rosatom-ისა და Nornickel-ის ერთობლივ საწარმოსთან, რათა განავითაროს კოლის ნახევარკუნძულზე მდებარე ეს ლითიუმის საბადო (Andersson, 2024).

ყოველივე ეს ქმნის პარადოქსულ მდგომარეობას რუსეთისთვის: ერთის მხრივ, ის ცდილობს კონტროლი შეინარჩუნოს არქტიკის რეგიონზე და შეზღუდოს ჩინეთის გავლენა, მეორე მხრივ კი, ეკონომიკური საჭიროება მას აიძულებს უფრო მეტად დაუახლოვდეს ჩინეთს, რაც ფაქტობრივად ზღუდავს მის თავისუფლებას დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისთვის.

3.2 2024 წლის რუსეთის სტრატეგია და პოლიტიკური გამოწვევები არქტიკაში

2024 წელს რუსეთის არქტიკული სტრატეგია ფორმირდება რთული გეოპოლიტიკური გარემოს პირობებში, სადაც თავს იჩენს უკრაინის კონფლიქტის შედეგები, ჩინეთთან მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და

დასავლეთის სანქციები. რუსეთსა და ჩინეთს განსხვავებული გეოპოლიტიკური დღის წესრიგი აქვთ. რუსეთი ძირითადად იყენებს ძალას და პოლიტიკურ გავლენას სტრატეგიული საყრდენის გასამყარებლად, ხოლო ჩინეთი ძირითადად ეკონომიკურ და ჰიბრიდულ ძალას იყენებს.

რუსეთის არქტიკული სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს "რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები არქტიკულ ზონაში 2035 წლამდე" (Указ Президента РФ № 164, 2020), რომელიც დამტკიცდა ვლადიმერ პუტინის მიერ 2020 წლის 5 მარტს. 2023 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციამ (Указ Президента РФ № 229, 2023) კიდევ უფრო ხაზი გაუსვა არქტიკის მნიშვნელობას, დაასახელა ის რუსეთის მეორე პრიორიტეტულ რეგიონად "ახლო საზღვარგარეთის" შემდეგ.

2024 წლის სექტემბერში დამტკიცებული "არქტიკის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის" ახალი რედაქციაში (Постановление Правительства РФ № 1064) მოცემულია კონკრეტული აქტივობები 2030 წლამდე პერიოდისთვის.

სტრატეგიის მიხედვით რუსეთი მიზნად ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებას. კერძოდ, არქტიკის გადაქცევას სტრატეგიულ რესურსების ბაზად და ეროვნული ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად. ეს მოიცავს ნახშირწყალბადების, მინერალების და თევზის რესურსების განვითარებას. მათ შორის მინერალური რესურსების: პადიუმის 100%, პლადინის 95% და ნიკელის 90%.

გარდა ამისა, 2024 წლის ოქტომბერში პრემიერ-მინისტრმა მიშუსტინმა ხაზი გაუსვა რეგიონის მზარდ მნიშვნელობას რუსეთის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური გეგმებისთვის, ხაზგასმით აღნიშნა არქტიკაში ძლიერი ინფრასტრუქტურული ქსელის შექმნა, მათ შორის მსოფლიოში უმსხვილესი თავისუფალი ეკონომიკური ზონა (Bifolchi, 2024). აგრეთვე, არქტიკაში სამხედრო ძალის გამოყენების პრევენცია და რუსეთის სუვერენიტეტის დაცვა რჩება მთავარ

სამხედრო უსაფრთხოების მიზნებად. რუსეთი ახორციელებს შეიარაღებული ძალების და სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროგრამას არქტიკულ სანაპიროზე.

2024 წელს რუსეთის ატომური ენერგიის კორპორაცია "როსატომმა" და ჩინურმა სატრანსპორტო კომპანია Hainan Yangpu NewNew Shipping-მა შექმნეს ერთობლივი საწარმო, რომელიც წლიური კონტეინერული მარშრუტის ოპერირებას მოახდენს NSR-ზე. ჩინეთი ასევე ეხმარება რუსეთს NSR-ის დიგიტალიზაციაში, მაგალითად, Polar Express-ის წყალქვეშა კაბელის პროექტით, რომელიც ჩინური ოპტიკური ბოჭკოთი შენდება.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2023 წელს NSR-ზე გადაიზიდა 36.2 მლნ ტონა ტვირთი, რომლიდან 15.3 მლნ ტონა (42%) იყო რუსეთ-ჩინეთის ვაჭრობის წილი. ხოლო 2024 წლის პირველ ნახევარში რუსეთიდან ჩინეთში NSR-ის გავლით ჩაიტანა 8.7 მლნ ტონა ნედლი ნავთობი, რაც 23%-ით მეტია 2023 წლის იმავე პერიოდთან შედარებით (Федеральное агентство морского и речного транспорта; 2024).

რუსეთისთვის კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს არქტიკის სატრანსპორტო დერეფნების (განსაკუთრებით ჩრდილოეთის საზღვაო გზის) ინტერნაციონალიზაცია, რასაც ჩინეთი უჭერს მხარს. რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს თვითმმართველობა რეგიონში და დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს პოლიტიკური პოზიცია არის კონკრეტული ნაბიჯი გეოპოლიტიკურ დონეზე, რომელიც ზღუდავს ჩინეთის სურვილს გაზარდოს თავისი როლი და გავლენა არქტიკის გლობალურ მართვაში.

რუსეთს გააჩნია თავისი კონტროლის მექანიზმები, რომელიც მოიცავს, როგორც სანავიგაციო რეგულაციებს, ასევე ეკონომიკურ კონტროლსა და უსაფრთხოების ღონისძიებებს. რუსული კომპანიების მონოპოლია ჩრდილოეთის საზღვაო გზის ინფრასტრუქტურაზე წარმოადგენს რუსეთის არქტიკული სტრატეგიის ძირითად ელემენტს. 2012 წლიდან მოსკოვმა დააწერა „ჩრდილოეთის საზღვაო გზის

ნავიგაციის წესები“, რომელიც მკაცრად არეგულირებს უცხოური ხომალდების მოძრაობას. ხოლო 2024 წლის ივნისიდან მას დაემატა ახალი წესები: ეკოლოგიური სტანდარტების დაკმაყოფილება და წინასწარი ნებართვების გაცემა.

2022 წლის თებერვალში უკრაინაში შეჭრამდე, რუსეთის FSB-მ დაამტკიცა კონტრდაზვერვის ახალი პროგრამა სახელწოდებით "ანტანტა-4", რომლის მიზანი იყო ჩინეთის პოტენციური დაზვერვითი საქმიანობის მონიტორინგი, აპლიკაციების მომხმარებლების კონტროლი, ბიზნეს-კონტაქტების რეგულირება და ჩინეთის ჯაშუშების მიერ რუსეთის ინტერესების შელახვის პრევენცია. ეს პროგრამა მოიცავდა რუსეთის ოფიციალურ პირებთან, ექსპერტებთან და ბიზნესმენებთან შეხვედრებს, რომლებიც ჩინეთთან თანამშრომლობდნენ, რათა გაეფრთხილებინათ ისინი ჩინეთის სადაზვერვო საქმიანობის შესახებ. ასევე დაწესდა ჩინური აპლიკაცია WeChat მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის მუდმივი შეგროვებისთვის (Babaiev, 2025). ეს პირდაპირ მიუთითებს რუსეთის აქტიურ მცდელობაზე, გააკონტროლოს და შეზღუდოს ჩინეთის აქტივობები, განსაკუთრებით სტრატეგიულ ინფორმაციასა და ინტერესებთან დაკავშირებით.

სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთმა დაიწყო არქტიკული ბრიგადების რეფორმა და მათი გაძლიერა, შექმნა ახალი სამხედრო ბაზები, მათ შოტის ფრანც იოსების მიწაზე, ახალი ციმბირის კუნძულებზე. ჩრდილოეთის საზღვაო გზის პორტების შეზღუდული ტევადობა, ყინულმტეხი ფლოტის ცვეთა და ტექნოლოგიური განვითარების შეფერხება უკავშირდება რუსეთის მცდელობასთან შეზღუდოს ჩინეთის გავლენა, მაგრამ ვერ ანაცვლებს ჩინურ რესურსებს ალტერნატიულით.

გარდა ამისა, რუსეთის „მულტიპოლარული არქტიკის“ კონცეფცია, რომელსაც ის 2024 წელს აქტიურად პროპაგანდირებდა, ფაქტობრივად წარმოადგენს ჩინეთის მზარდი ჰეგემონიის შეზღუდვის გეგმას. ინდოეთის, ბრაზილიისა და სხვა ქვეყნების ჩართვა არქტიკულ პროცესებში მიზნა ისახავს ისეთი ბალანსის შექმნას, სადაც ჩინეთი ვერ შეძლებდ დომინირებას. ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ BRICS-ის ფორმატში არქტიკული კოოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ ის

ჩინეთის ქოლგით ქვეშ ფუნქციონირებს, რუსეთისთვის წარმოადგენს ინსტრუმენტს ჩინეთის ბილატერალური გავლენის გასანეიტრალებლად.

თუმცა, რუსეთი ჩინური გავლენის შეზღუდვის სურვილი შეჯახებაში მოდის არსებულ რეალობასთან. რუსეთი იძულებულია წონასწორობა შეინარჩუნოს სამ ძირითად ფაქტორს შორის: ჩინეთის ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების საჭიროება, ჩინეთის მზარდი გავლენის შეკავების სურვილი და გრძელვადიანი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვის აუცილებლობა. სანქციების პირობებში ჩინეთი რჩება ერთადერთ მნიშვნელოვან ინვესტორად და ტექნოლოგიურ პარტნიორად მოსკოვის არქტიკული პროექტებისთვის.

საერთო ჯამში, რუსეთის 2024 წლის არქტიკული სტრატეგია, მიუხედავად იმისა, რომ ეფუძნება წინა დოკუმენტებს, წარმოადგენს კომპლექსურ სტრატეგიას ჩინური გავლენის შეზღუდვისთვის და აჩვენებს მზარდ აქცენტს სამხედრო უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე და ჩრდილოეთის საზღვაო გზაზე კონტროლზე, რაც დიდწილად განპირობებულია გეოპოლიტიკური დაძაბულობით და დასავლეთის სანქციების შედეგებით.

3.3 სამხედრო თანამშრომლობა და დაძაბულობა (2024)

2024 წლის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პენტაგონმა ოფიციალურად აღიარა რუსეთ-ჩინეთის მზარდი თანამშრომლობა არქტიკაში, როგორც რეგიონული სტაბილურობისთვის საფრთხე (Simkins, 2024). რაზეც მეტყველებს 2022-2024 წლებში მათ მიერ ერთობლივად ჩატარებული 27 სამხედრო და 16 საზღვაო წვრთნა, რაც რეკორდული მაჩვენებელია (Dieckmann, 2025). მიუხედავად ამისა, ეს სტრატეგიული პარტნიორობა არ გამორიცხავს ფარულ კონკურენციას და განსხვავებულ ინტერესებს, განსაკუთრებით არქტიკის რეგიონში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩინეთის სანაპირო დაცვის პირველი გასვლა არქტიკის ოკეანეში, რაც სიმბოლურად გამოხატავს ჩინეთის მზარდ ამბიციებს რეგიონში. 2024 წლის სექტემბერში წყნარ და არქტიკულ ოკეანეში, ხმელთაშუა, კასპიისა და ბალტიის ზღვებში ჩატარდა ოპერაცია „Ocean-2024“, სადაც მონაწილე

ძალებს შეადგენდა 400-ზე მეტი საბრძოლო ხომალდი, წყალქვეშა ნავი და დამხმარე გემი; 120-ზე მეტი საზღვაო თვითმფრინავი; 90,000-ზე მეტი პერსონალი. ჩინეთი მონაწილეობდა 4 ხომალდით (კრეისერი CNS Wuxi (104), გამანადგურებელი CNS Xining (117), ფრეგატი CNS Linyi (547) და საწვავის გადამზიდავი CNS Taihu (889)) და 15 თვითმფრინავით წყნარი ოკეანის ფლოტის ნაწილში. მიზანი იყო რუსეთის საზღვაო ძალების მაღალი რანგის ოფიცრების მზადყოფნის შემოწმება, ზუსტი იარაღის კომბინირებული გამოყენება, თავდაცვითი სტრატეგიები, სადესანტო ოპერაციები, უპილოტო საფრენი აპარატების (უპილოტო საფრენი აპარატების) და საზღვაო დრონების წინააღმდეგ ბრძოლა (Mahadzir, 2024)

მეორე ოპერაცია სახელად „Northern/Interaction-2024“ ჩატარდა იაპონიისა და ოხოტის ზღვებში. მონაწილე ძალები-ჩინეთის საზღვაო და საჰაერო ძალები, რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტი, PLA-ს საჰაერო ძალების დანაყოფები, რუსული სამხედრო ძალები (Su-30SM გამანადგურებლები, MiG-31BM ჩამჭრელები, Il-38 წყალქვეშა ნავების საპატრულო თვითმფრინავები). აქცენტი გაკეთდა საჰაერო თავდაცვაზე, ნაღმების განეიტრალებაზე და ერთობლივ სამაშველო ოპერაციებზე.

საბოლოო ჯამში, ეს წვრთნები მოიცავდა ათობით ათას პერსონალს, ასობით ხომალდს და თვითმფრინავს, რაც მიუთითებს ორი ქვეყნის სამხედრო ძალების გაღრმავებულ კოორდინაციასა და შესაძლებლობებზე. ჩინეთი ასევე მონაწილეობდა ერთობლივ საზღვაო წვრთნებში ბერინგის ზღვაში (Yang, 2024).

მიუხედავად თანამშრომლობის ზრდისა, რუსეთი მაინც ინარჩუნებს სიფრთხილეს ჩინეთის მიმართ, განსაკუთრებით არქტიკაში. რუსეთი წლების განმავლობაში ცდილობდა შეეზღუდა ჩინეთის ჩართულობა შორეულ ჩრდილოეთში, მაგრამ უკრაინაში ომის გამო, რუსეთი იძულებული გახდა ჩინეთს მიმართოს სამხედრო და ეკონომიკური ყოფნის შესანარჩუნებლად არქტიკაში.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს იმას, რომ სტრატეგიული პარტნიორობა არ გამორიცხავს კონკურენციას. მიუხედავად გაღრმავებული სამხედრო თანამშრომლობისა და ერთობლივი წვრთნებისა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ

„თანამშრომლობა არ არის თავსებადობის ტოლფასი“. ეს გულისხმობს, რომ სრული სამხედრო ალიანსის ნაცვლად, ორ ქვეყანას შორის არსებობს გარკვეული შეზღუდვები და განსხვავებები ოპერაციულ დონეზე. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩინეთი და რუსეთი, მიუხედავად გეოპოლიტიკური თანხვედრისა, არქტიკაში და ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში მოქმედებენ „პარალელურად და არა შეთანხმებულად“. ეს ასახავს მათ განსხვავებულ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და რეგიონებში ჩართულობის ისტორიას, რაც მიუთითებს კონკურენტულ ელემენტებზე.

2024 წლის მონაცემები ადასტურებს რუსეთის ორმაგ სტრატეგიულ მიდგომას. ეს წელი კრიტიკულ მომენტს წარმოადგენს რუსეთ-ჩინეთის არქტიკული ურთიერთობების ევოლუციაში. მიუხედავად მაღალი დონის სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობისა, რუსეთი ინარჩუნებს მის სტრატეგიებს- გამოიყენოს ჩინეთის რესურსები და ამასთანავე შეუზღუდოს წვდომა სტრატეგიულ ობიექტებზე. ეს დინამიკა ასახავს, რომ რუსეთისთვის არქტიკული სუვერენიტეტი რჩება კრიტიკულად მნიშვნელოვანი, ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ღირებულების მიუხედავად.

2024 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები არქტიკაში გაგრძელდება „კონტროლირებადი კონკურენციის“ მოდელით, რაც გულისხმობს ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნებას გლობალურ დონეზე, მაგრამ ამასთანავე საკუთარი ინტერესების მკაცრად დაცვას კონკრეტულ სფეროებში.

საკითხის თეორიულ ჭრილში განხილვა

წინამდებარე ნაშრომში რუსეთ-ჩინეთის კონკურენცია არქტიკაში თავდასხმითი რეალიზმის პრიზმიდან არის განხილული. მერშაიმერის მოსაზრებით, დიდი სახელმწიფოები უკმაყოფილონი არიან არსებული ძალთა ბალანსით. აქედან გამომდინარე, ისინი მუდმივად ეძებენ შესაძლებლობებს, გაზარდონ თავიანთი ძალაუფლება სხვა სახელმწიფოს ხარჯზე და მიაღწიონ რეგიონულ ჰეგემონიას.

როგორც ავტორი აღნიშნავს, იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოების ზრახვები არასდროს არის სრულად ცნობილი, ისინი მუდამ გაურკვევლობაში არიან და ეს უბიძგებს მათ ძალის მაქსიმისაზაციისკენ (Mearsheimer, 2001).

მერშაიმერის არგუმენტი, რომ სახელმწიფოები, რომლებიც განაგრძობენ საკუთარი ძალაუფლების ზრდას, იმავდროულად ზრდიან გლობალურ ამბიციებს და ცდილობენ მოიპოვონ სტაბილური პოზიცია საერთაშორისო სისტემაში, გამოხატავს რუსეთის ამბიციებს არქტიკაში. მოსკოვს ურჩევნია შეინარჩუნოს კონტროლქვეშ გარემო, სადაც ჩინეთის როლი მხოლოდ მას შემდეგ იქნება გათვალისწინებული, როცა ის არ დაარღვევს რუსეთის ინტერესების საზღვრებს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და ჩინეთი ფორმალურად პარტნიორები არიან, მოსკოვი პეკინის მზარდ როლს საფრთხედ აღიქვამს. მერშაიმერი ამტკიცებს, რომ დიდი სახელმწიფოები არასოდეს არიან კმაყოფილები ძალაუფლების არსებული განაწილებით, ამიტომ ისინი ყოველთვის ეძებენ შესაძლებლობას ძალთა ბალანსი მათ სასარგებლოდ შეცვალონ (Mearsheimer, 2001). სწორედ ეს მიგნება ხსნის რუსეთის მცდელობებს, შეზღუდოს ჩინეთის წვდომა არქტიკის ბუნებრივ რესურსებზე და განიმტკიცოს პოზიცია ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტზე.

გარდა ამისა, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა არქტიკაში, რომელიც მოიცავს პრევენციული ზომების მიღებას და სამხედრო ზრდას, შეესაბამება თავდასხმითი რეალიზმის იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოები გადარჩენის საუკეთესო გზად მიიჩნევენ რეგიონულ ჰეგემონიას. რუსეთისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა შეინარჩუნოს რეგიონში უსაფრთხოება.

მერშაიმერი ხაზს უსვამს გეოგრაფიულ ფაქტორებს ძალთა ბალანსში. არქტიკის შემთხვევაში, ის გარემოებები, რომლებიც ისტორიულად ზღუდავდა მისი რესურსების ათვისებას, ახლა კლიმატის ცვლილების გამო შედარებით ხელმისაწვდომი გახდა. ამ გარემოებამ შექმნა ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, სადაც ჩინეთის ინოვაციურმა ტექნოლოგიურმა შესაძლებლობებმა და ეკონომიკურმა რესურსებმა ის კონკურენტუნარიან მოთამაშედ აქცია.

ამრიგად, რუსეთ-ჩინეთის კონკურენცია არქტიკაში არის მაგალითი იმისა, თუ როგორ მუშაობს თავდასხმითი რეალიზმის მექანიზმები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც ძალთა ბალანსის შეცვლა ახალ კონფლიქტურ დინამიკას წარმოშობს. თეორიის მიხედვით აიხსნება, თუ რატომ წარმოადგენს რუსეთისთვის საფრთხეს ჩინეთის მზარდი როლი რეგიონში და რატომ მოქმედებს მოსკოვი აგრესიულად. აშკარაა, რომ რუსეთის ქცევა პასუხობს თავდასხმითი რეალიზმის იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც გადარჩენა მოითხოვს მუდმივი ძალის არსებობას და კონკურენტების შეკავებას.

ძირითადი მიგნებები

ნაშრომში ლიტერატურის, პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზზე დაყრდნობით, კვლევის მეთოდების გამოყენებითა და საკითხის თეორიულ ჭრილში ანალიზით დადასტურდა კვლევის ჰიპოთეზა და გამოვლინდა ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც აქამდე ნაკლებად იყო შესწავლილი რუსეთის პერსპექტივიდან.

კვლევამ დაადასტურა, რომ 2013 წლიდან ჩინეთის მზარდმა გლობალურმა გავლენამ არქტიკაში გააძლიერა რუსეთის აღქმა ჩინეთის, როგორც პოტენციური საფრთხის. მიუხედავად დეკლარირებული „ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობისა“ და გლობალურ დონეზე თანამშრომლობისა, არქტიკის რეგიონში რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა ღრმა და ფარული კონკურენციით ხასიათდება. რუსეთი ცდილობს შეზღუდოს ჩინეთის წვდომა რეგიონის ბუნებრივ რესურსებსა და სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე, რათა დაიცვას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები და შეინარჩუნოს დომინირება რეგიონში.

ნაშრომში გამოვლინა ის ძირითადი მიზეზები, რაც იწვევს რუსეთის შეშფოთებას არქტიკაში. 2013 წელს ჩინეთისთვის არქტიკულ საბჭოში დამკვირვებლის სტატუსის მინიჭება რუსეთის მხრიდან აშკარა უკმაყოფილებით და შეშფოთებით აღინიშნა. მისმა ქმედებებმა ცხადყო რუსეთის მიზანი, თავიდანვე განესაზღვრა ჩინეთის გაფართოების არეალი რეგიონში. რუსი ოფიციალური პირების

განცხადებები ნათლად წარმოაჩენს მის მიზანს, მინიმუმამდე დაიყვანოს ჩინეთის ნებისმიერი აქტივობა არქტიკაში, რასაც გააკონტროლებს თავისი რეგულაციებით.

კვლევამ ასევე გამოვლინა რუსეთის კონკრეტული ქმედებები ჩინეთის გავლენის შესაზღუდად, მათ შორის ენერგორესურსებზე მკაცრი კონტროლის დაწესება, ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტის სუვერენული მართვა და გაძლიერებული ზედამხედველობა ჩინურ ინვესტიციებზე.

კვლევის მიგნებები სრულ თანხვედრაშია მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმის პრინციპებთან. რუსეთის მიერ ჩინეთის აღქმა პოტენციურ საფრთხედ და მისი გავლენის შეზღუდვის მცდელობები გამომდინარეობს შიშიდან და განზრახვების გაურკვევლობიდან, რაც აიძულებს მოსკოვს იმოქმედოს აგრესიულად, რათა გადარჩეს.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არქტიკის რეგიონი გადაიქცა გეოპოლიტიკური კონკურენციის ახალ ასპარეზად ჩინეთსა და რუსეთს შორის. არქტიკა არის სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი, სადაც რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობა, მიუხედავად თანამშრომლობისა, ღრმა და ფარული კონკურენციით ხასიათდება.

კვლევის ფარგლებში პასუხი გაეცა საკვლევ კითხვას და გამართლდა ჰიპოთეზა: 2013 წლიდან ჩინეთის მზარდმა გლობალურმა გავლენამ არქტიკაში გააძლიერა რუსეთის აღქმა ჩინეთის, როგორც საფრთხის, რის შედეგადაც რუსეთი ცდილობს შეზღუდოს ჩინეთის წვდომა რეგიონის ბუნებრივ რესურსებზე, რათა დაიცვას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონში დომინირება. მიუხედავად დეკლარირებული „შეუზღუდავი მეგობრობისა“, არქტიკაში რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა ღრმა, ფარული კონკურენციითა და რუსეთის მიერ ჩინეთის როლის შეზღუდვის მცდელობებით ხასიათდება, რათა შეინარჩუნოს დომინანტური პოზიცია და შეაფერხოს ჩინეთის გავლენის უკონტროლო ზრდა.

თავდაპირველად, რუსეთის დამოკიდებულება ჩინეთის არქტიკული ამბიციების მიმართ აშკარა უკმაყოფილებით გამოირჩეოდა. 2013 წელს ჩინეთისთვის არქტიკულ საბჭოში დამკვირვებლის სტატუსი მინიჭების შემდეგ რუსეთმა წაუყენა პირობები სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის შესახებ– ეს იყო რუსეთის „შეშფოთების ნიშანი“. ეს აშკარად მიუთითებდა რუსეთის სურვილზე, თავიდანვე განესაზღვრა და შეეზღუდა ჩინეთის გაფართოების არეალი რეგიონში.

თუმცა, 2014 წლის ყირიმის ანექსიამ და 2022 წელს უკრაინაში სრულმასშტაბიანმა შეჭრამ რადიკალურად შეცვალა გეოპოლიტიკური დინამიკა არქტიკაში. დასავლეთის სანქციებმა რუსეთი იზოლაციაში მოაქცია, რამაც აიძულა იგი, ჩინეთთან უფრო მჭიდრო კავშირები დაემყარებინა, რათა „რეგიონში ბალანსი აღედგინა“. რუსეთი, როგორც „რეგიონში თითქმის დომინანტური ძალა“, იძულებულია მიიღოს ჩინეთის ინვესტიციები და თანამშრომლობა, თუმცა მუდმივად ცდილობს ამ პროცესის კონტროლს.

ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით, როგორიცაა ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტის (NSR) განვითარება, ჩინეთი რუსეთისთვის მნიშვნელოვან ინვესტორად გვევლინება. ჩინური კომპანიების მიერ NSR-ზე ახალი სატრანსპორტო დერეფნების პროექტი დასტურია პეკინის მკაფიო ეკონომიკურ ინტერესისა. რუსეთი მიესალმება ჩინურ ინვესტიციებს და ამ მარშრუტის ამოქმედებას, თუმცა მოსკოვი აქაც ფრთხილი მიდგომით გამოირჩევა. ის ცდილობს შეინარჩუნოს საკუთარი მონოპოლია ინფრასტრუქტურისა და რესურსებზე წვდომაში.

სამხედრო სფეროშიც კი, სადაც 2022-2024 წლებში ჩინეთმა და რუსეთმა 27 ერთობლივი სამხედრო წვრთნა ჩაატარეს არქტიკულ წყლებში, რუსეთი აკონტროლებდა ჩინეთის როლს. მიუხედავად იმისა, რომ ეს წვრთნები „მიანიშნებს ჩინეთისა და რუსეთის გაფართოებულ სამხედრო კოორდინაციაზე“, ჩინეთი „განზრახ ამცირებს თავის ინტერესს არქტიკის მილიტარიზაციაში“.

ნაშრომი ადასტურებს, რომ 2013 წლიდან ჩინეთის მზარდმა გლობალურმა გავლენამ არქტიკაში გააძლიერა რუსეთის აღქმა ჩინეთის , როგორც პოტენციური

საფრთხის. რუსეთი ცდილობს შეზღუდოს ჩინეთის წვდომა რეგიონის ბუნებრივ რესურსებზე, რათა დაიცვას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონში დომინირება. რუსეთი ჩინეთს მიიჩნევს „ფინანსურად შემლებულ“ პარტნიორად „მისი პირველობისა და დომინირების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების გარეშე“.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობა არქტიკაში ფარული კონკურენციით ხასიათდება, რომელიც მუდმივად განსაზღვრავს მათი თანამშრომლობის დინამიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები.* (მესამე გამოცემა). თბილისი, გამომცემლობა ნეკერი.

2. წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. Andersson, P. (2024, October 22). *Sino-Russian cooperation in the Arctic: Implications for Nordic countries and recommended policy responses.* Swdish National China Centre. https://www.ui.se/globalassets/ui.se-eng/publications/other-publications/sino-russian-cooperation-in-the-arctic_implications-for-nordic-countries-and-recommended-policy-responses.pdf

4. Babaiev, B. (2025, June 7). *Russia's FSB calls China "the enemy"—leaked NYT report exposes secret Kremlin fears.* RBC-Ukraine. https://newsukraine.rbc.ua/news/russia-s-fsb-calls-china-the-enemy-leaked-1749306966.html

5. Bellona. (2024, March). *The Arctic as a resource base*. Bellona.org. https://bellona.org/news/arctic/2024-03-the-arctic-as-a-resource-base

6. Bērziņa-Cerenkova, U. A. (2021). *Perfect Imbalance*. Amsterdam University Press. https://www.barnesandnoble.com/w/perfect-imbalance-una-aleksandra-berzina-cerenkova/1140305793;jsessionid=210486E85AC559890716E191F2B5D51E.prodny_store01-atgap03?ean=9781800611658

7. Bifolchi, G. (2024, November 17). *Russian Arctic development and national security strategy: Analysing current trajectory and implications*. SpecialEurasia. https://www.specialeurasia.com/2024/11/17/arctic-russia-strategy/

8. Bird, K. J., Charpentier, R. R., Gautier, D. L., Houseknecht, D. W., Klett, T. R., Pitman, J. K., Moore, T. E., Schenk, C. J., Tennyson, M. E., & Wandrey, C. J. (2008). *Circum-Arctic resource appraisal: Estimates of undiscovered oil and gas north of the Arctic Circle*. U.S. Geological Survey Fact Sheet 2008–3049. https://pubs.usgs.gov/fs/2008/3049/fs2008-3049.pdf

9. Borgerson, S. G. (2008). *Arctic Meltdown: The Economic and Security Implications of Global Warming*. Princeton University Press. https://www.researchgate.net/publication/297807870_Arctic_Meltdown_The_Economic_and_Security_Implications_of_Global_Warming

10. Buchanan, E. (2023). *Red Arctic: Russian Strategy Under Putin*. Brookings Institution Press. http://www.jstor.org/stable/10.7864/j.ctv13qfw5c

11. Byers, M. (2014). *International Law and the Arctic*. Researchgate. https://www.researchgate.net/publication/275134380_Michael_Byers_International_Law_and_the_Arctic

12. Chatham House. (2012). *Arctic opening: Opportunity and risk in the High North*. Chatham House. https://www.chathamhouse.org/sites/default/files/publications/0412arctic.pdf

13. China Power Team. (2025, June 4). *How Is China's Energy Footprint Changing?* ChinaPower. https://chinapower.csis.org/energy-footprint/

14. Chow, E. C. (2021, January 29). *Sino-Russian Energy Relations: A Match Made in Heaven?* Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/posts/2021/01/sino-russian-energy-relations-a-match-made-in-heaven?lang=en

15. Cohen, S. B. (2003). *Geopolitics of the World System*. Rowman & Littlefield Publishers. https://www.google.com/search?q=https://doi.org/10.1016/j.polgeo.2004.04.004

16. Conley, H. A., & Melino, J. (2020, March). *Russia and China in the Arctic: Cooperation, Competition, and Consequences.* Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/posts/2020/03/russia-and-china-in-the-arctic-cooperation-competition-and-consequences?lang=en

17. Cozad, Mark, Cooper, Cortez A. III, & Blanc, Alexis A. (2024). *Future Scenarios for Sino-Russian Military Cooperation: Possibilities, Limitations, and Consequences*. RAND Corporation. https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA2061-5.html

18. Dagaev, A. (2025, February 18). *The Arctic Is Testing the Limits of the Sino-Russian Partnership.* Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/russia-eurasia/politika/2025/02/russia-china-arctic-views?lang=en

19. Dieckmann, O. (2025, May 24). *From Rhetoric to Reality: China-Russia Cooperation in the Arctic Accelerates.* The Diplomat. https://thediplomat.com/2025/05/from-rhetoric-to-reality-china-russia-cooperation-in-the-arctic-accelerates/

20. Dukalskis, A. (2020). *Making the World Safe for Dictatorship*. Praeger. https://www.researchgate.net/publication/351734447_Making_the_World_Safe_for_Dictatorship

21. Faure, S. B. (2001). *The Tragedy of Great Power Politics*. Norton & Company. https://samuelbhfaure.com/wp-content/uploads/2015/10/s2-mearsheimer-2001.pdf

22. Gudjonsson, H., & Nielsson, E. T. (2017, March 31). *China's Belt and Road Enters the Arctic.* The Diplomat. https://thediplomat.com/2017/03/chinas-belt-and-road-enters-the-arctic/

23. Hamilton, R. (2024). *The China-Russia Relationship: The Dance of the Dragon and the Bear (Global Power Shift).* Springer. https://www.abebooks.com/9783031692598/China-Russia-Relationship-Dance-Dragon-Bear-3031692594/plp

24. Joachim, W. (2020). *Handbook on Geopolitics and Security in the Arctic : The High North Between Cooperation and Confrontation*. Springer. https://n10314uk.eos-intl.eu/N10314UK/OPAC/Search/AdvancedSearch.aspx

25. Klare, M. T. (2001). *The New Geography of Conflict.* Foreign Affairs, 80(3), 49–61. https://doi.org/10.2307/20050150

26. Komin, M., & Hosa, J. (2025, May 27). *The bear beneath the ice: Russia's ambitions in the Arctic.* ECFR. https://ecfr.eu/publication/the-bear-beneath-the-ice-russias-ambitions-in-the-arctic/

27. Korolev, A. (2023). *A 'no limits' partnership?: china–russia strategic cooperation.* In L. Jaivin, E. S. Klein, & A. L. Ren (Eds.), *Chains* (1st ed., pp. 273–286). ANU Press. http://www.jstor.org/stable/jj.11930986.27

28. Lanteigne, M. (2019). *Chinese Foreign Policy: An Introduction* (4th ed.). Routledge. https://www.routledge.com/Chinese-Foreign-Policy-An-Introduction/Lanteigne/p/book/9781138345409?srsltid=AfmBOorZB2vshCdf7FOXWZf0EEQCzbruKyWYHtnr3Cy3gn4_xQPnbg7Y

29. Laruelle, M. (2020). *Russia's Arctic Policy: Power strategy and its limits*. Ifri – Institut français des relations internationales.

https://www.ifri.org/sites/default/files/migrated_files/documents/atoms/files/laruelle_russia_arctic_policy_2020.pdf

30. Laws, J. (2025, February 3). *Map shows locations of NATO and Russian military bases in the Arctic.* Newsweek. https://www.newsweek.com/nato-russias-military-bases-arctic-map-2022961

31. Lukin, A. (2018). *China and Russia: The new rapprochement*. Polity Press. https://www.politybooks.com/bookdetail?book_slug=china-and-russia-the-new-rapprochement--9781509521708

32. Mahadzir, D. (2024, September 11). *Russia, China kicks off large scale naval exercise.* USNI News. https://news.usni.org/2024/09/11/russia-china-kick-off-large-scale-naval-exercise

33. Merkle, D. (2023). *The Self-Proclaimed Near-Arctic State*. Konrad Adenauer Foundation. https://www.kas.de/en/web/auslandsinformationen/artikel/detail/-/content/der-selbsternannte-fast-arktisstaat

34. Novatek. (n.d.). *Novatek Reports 2023 IFRS Results*. https://www.novatek.ru/en/press/releases/index.php?id_4=1165

35. Novatek. (2016, March 15). *Novatek and China's Silk Road Fund conclude selling 9.9% stake in Yamal LNG.* https://www.novatek.ru/en/press/releases/index.php?id_4=1165

36. Official Website of the President of Russia. (2024, September 10). *Ocean 2024 strategic command-and-staff exercise.* http://en.kremlin.ru/events/president/news/75083

37. Pandey, K. (2023, May 1). Analyzing china's increasing maneuvers in the arctic. ORCA. https://orcasia.org/article/158/analyzing-chinas-increasing-maneuvers-in-the-arctic

38. Paul, M. (2025, February 13). *China's Arctic Turn*. Stiftung Wissenschaft und Politik. https://www.swp-berlin.org/10.18449/2025C08/

39. Prokopenko, A. (2024, May 27). *What Are the Limits to Russia's "Yuanization"?* Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/russia-eurasia/politika/2024/05/china-russia-yuan?lang=en

40. Putin, V. (2013). *The development strategy of the Arctic zone of the Russian Federation*. Government of the Russian Federation. https://www.research.kobe-u.ac.jp/gsics-pcrc/sympo/20160728/documents/Keynote/Russian%20Arctic%20strategy%202013.pdf

41. Rao, I., & Gruenig, M. (2024, November 21). *Sanction-Proof? Russia's Arctic Ambitions and the China Factor.* The Arctic Institute. https://www.thearcticinstitute.org/sanction-proof-russias-arctic-ambitions-china-factor/

42. Sergunin, A., & Konyshev, V. (2019). *Forging Russia's Arctic strategy: actors and decision-making.* The Polar Journal, 9(1), 75–93. https://doi.org/10.1080/2154896X.2019.1618549

43. Shkvarkov, S., & Chernyaev, A. (2018). *Russia's Arctic Strategy*. Researchgate. https://www.researchgate.net/publication/322158448_Russia's_Arctic_Strategy

44. Simkins, J. D. (2024, December 6). *China-Russia cooperation poses rising threat in Arctic, Pentagon warns.* Defense News. https://www.defensenews.com/global/2024/12/07/china-russia-cooperation-poses-rising-threat-in-arctic-pentagon-warns/

45. Sørensen, C. T. N., & Klimenko, E. (2017, June). *Emerging Chinese-Russian Cooperation in the Arctic: Possibilities and Constraints* (SIPRI Policy Paper No. 46). Stockholm International Peace Research Institute.

https://www.sipri.org/publications/2017/sipri-policy-papers/emerging-chinese-russian-cooperation-arctic

46. State Council Information Office of the People's Republic of China. (2018, January). *China's Arctic Policy*. ENGLISH.GOV.CN. https://english.www.gov.cn/archive/white_paper/2018/01/26/content_281476026660336.htm

47. Stokke, O. S., & Hønneland, G. (Eds.). (2017). *International Cooperation in the Arctic: Global Governance for a Changing Region*. Routledge. https://www.routledge.com/International-Cooperation-and-Arctic-Governance-Regime-Effectiveness-and-Northern-Region-Building/Stokke-Honneland/p/book/9780415599658?srsltid=AfmBOoq5qczJbJkbqMh-MXNF8wt6t51-U6pfuf96ICbymLIQiOXPzgNq

48. Tingstad, A., Pezard, S., & Shokh, Y. (2024, November). *China-Russia relations in the Arctic: What are the northern limits of their partnership?* RAND Corporation. https://www.rand.org/pubs/perspectives/PEA2823-1.html

49. Townsend, J., & Kendall-Taylor, A. (2021). *Russian and Chinese Priorities in the Arctic and Prospects for Their Cooperation. In Partners, Competitors, or a Little of Both?: Russia and China in the Arctic (pp. 6–11).* Center for a New American Security. http://www.jstor.org/stable/resrep30199.6

50. Tracy, E. (2024). *Trends in Arctic oil and gas production and associated emissions*. WWF. https://apiwwfarcticse.cdn.triggerfish.cloud/uploads/2024/11/Research_brief_COP29_Arctic_oil_gas.pdf

51. Trenin, D. (2020, March 31). *Russia and China in the Arctic: Cooperation, Competition, and Consequences.* Carnegie Endowment for International Peace. https://carnegieendowment.org/posts/2020/03/russia-and-china-in-the-arctic-cooperation-competition-and-consequences?lang=en

52. U.S. Geological Survey World Energy Assessment Team. (2000). *U.S. Geological Survey World Petroleum Assessment 2000—Description and results* (Digital Data Series 60). U.S. Geological Survey. http://pubs.usgs.gov/dds/dds-060/

53. Yang, T.-y. (2024, September 19) *Perspective on the "China Russia Northern United 2024" military exercise.* Institute of Chinese Communist Studies. https://iccs.org.tw/en/NewsContent/221

54. Young, O. R., & Kim, J.-D. (2024). *The fall and rise of global geopolitics in the Arctic.* In O. R. Young & J.-D. Kim (Eds.), *North Pacific Perspectives on the Arctic: Looking Far North in Turbulent Times* (pp. 1-23). Edward Elgar Publishing. https://www.elgaronline.com/edcollchap-oa/book/9781035344956/chapter1.xml

55. Zhong, L., & Li, R. (2023). *Do Lower-Power Individuals Really Compete Less? An Investigation of Covert Competition.* ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/372384076_Do_Lower-Power_Individuals_Really_Compete_Less_An_Investigation_of_Covert_Competition

56. Правительство России. (2021, June 30). *Об утверждении Положения о федеральном государственном контроле (надзоре) в области гражданской.* Портал Правительства России. http://government.ru/docs/all/135415/

57. Президент Российской Федерации. (2020, March 5). *Указ Президента Российской Федерации от 05.03.2020 г. № 164 Об Основах государственной политики Российской Федерации в Арктике на период до 2035 года.* http://www.kremlin.ru/acts/bank/45255

58. Президент Российской Федерации. (2023, March 31). *Указ Президента Российской Федерации от 31.03.2023 г. № 229.* Президент России. http://www.kremlin.ru/acts/bank/49090

დანართები

დანართი 1

რუსეთის არქტიკული ზონა

Source: Researchgate

https://www.researchgate.net/figure/Map-of-the-Russian-Arctic-territory-Arctic-Zone-of-the-Russian-Federation-1-Murmansk_fig1_363778195

Figure 1. Map of the Arctic and shipping routes

დანართი 2

არქტიკის ძირითადი გეოგრაფიული და სამართლებრივი დაყოფა

Source: Chatham House-ის 2012 წლის ანგარიში

https://www.chathamhouse.org/sites/default/files/publications/0412arctic.pdf



დანართი 3

სუეცის არხი vs. ჩრდილოეთის საზღვაო გზა: მარშრუტების კონკურენცია

Source: Invesco

https://www.invesco.com/apac/en/institutional/insights/fixed-income/evolution-chinas-belt-and-road-initiative.html